საქართველოს

წითელი ჯვრის საზოგადოება

199

ჯანმრთელობა

ნომერი 1

იანვარი 1924 წ.

ტფილისი

სარედ. წითელი ჯვრის სტამბა, დუმბაძის ქ. № 3 (ყოფ. ლალაიანთების ქ.).

1924 წლის იანვრიდან გამოდის

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პერიოდული გამოცემა

„ბიულეტენი“

შემდეგის შინაარსით: მთავრობის განკარგულებანი წით. ჯვრის შესახებ; წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის საქმიანობა; ავტონომიური ერთეულების წითელ ჯვართა და ცენტრალური კომიტეტის ფილიალების მოღვაწეობა; საკავშირო რესპუბლიკებისა და საერთაშორისო წით. ჯვრების ქრონიკა; წერილები საექიმო-სასანიტარო დარგიდან და სხვ.

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**
მისამართი: **ცენტრ. კომიტეტი.**

თაიროვის შესახვევი № 5. (ლენინის ქუჩიდან).

1924 წლის 1—ლ იანვრიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გახსნა

საკუთარი სტამბა,

სადაც სწრაფად, ფაქიზად და ზომიერ ფასებში სრულდება ყოველგვარი სასტამბო საქმეები.

სტამბასთან გამართულია აგრეთვე წიგნთ-ასაკინძი სახელოსნო.

შეკვეთის მიღება შეიძლება ყოველ დღე სტამბაში—ლ. დუმბაძის ქ. № 3 (ყოფ. ველიამინოვის). ტელეფ. № 16—47 და 13—63.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი.

დაიბეჭდა და გამოვიდა

საქ. წ. ჯვრის მიერ გამოცემული
მძ. ვეზ. ტყრუპვირიძის წიგნი

„მალარია“.

ფასი 20 კ. ჩერვ.

მთავარი საწყობი წ. ჯვრ. ცენტრ. კომიტეტში, თაიროვის შეს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

12 415

ჯანმრთელობა

№ 1

იანვარი 1924

ტფილისი

Академия наук СССР
Акад. И. Грошвили
Библиотека-Музей
Библиотека-Музей имени Акад. И. Грошвили

ეროვნული საბიბლიოთეკო
ბიბლიოთეკა

სტამბა პოლიგრაფსკოლისა. განოვის ქუჩა, № 3.

წითელი ჯვარი.

წითელი ჯვრის მიზანი საზოგადოდ იმდენად ნათელი და იმდენად ცხადია ყველასათვის, რომ ზედმეტია მისი ცალკე განხილვა. რაიცა შეეხება საბჭოთა წითელ ჯვარს—წითელ ჯვარს მუშათა და გლეხთა მთავრობის დროს და მისს როლს, როგორც პროლეტარული საზოგადოებრივობის მაჩვენებელს, ეს კი მეტად საჭირო და ფრიად მნიშვნელოვანია დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში.

წითელი ჯვარი და მისი ორგანიზაციები დიდს როლს თამაშობდნენ ზოგიერთს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში და ამ როლს დღესაც თამაშობენ. ესენი, ბურჟუაზიულ-ფილანტროპიულის შხამით გაჟღენთილნი, საუკეთესო და მარჯვე იარიღია იმპერიალისტურ სახელმწიფოთათვის. მათის საშუალებით იმპერიალიზმის სულისჩამდგმელნი გზას იკვლევენ, იპოვებენ ერთგვარ სიმპატიას, მასას უნერგავენ უნებლიეთს სიყვარულსა და პატივისცემას ძლიერებამოსილის ბურჟუაზიულ კლასისადმი. ისინი—ერთგვარი იარაღია, რომლის საშუალებით გაჭირვებული კლასი თავისს თავს მოვალეთა სთვლის ბურჟუაზიის წინაშე; ამ რიგად ფართო მასაში სული პროტესტისა, სული უკმაყოფილებისა ძალაუნებურად ნელდება...

აი, ამ მიზნით და მხოლოდ ამ მიზნით იყვნენ გამსჭვალულნი ბურჟუაზიული წითელი ჯვრის სულის ჩამდგმელნი და მეთაურნი, როგორიც იყვნენ, მაგ., ნადეჟდოფსკარი მარიამ თეოდორეს ასული, პრინცი ოლდენბურგელი და მზგავსნი მათნი.

დღეს კი, საბჭოთა რესპუბლიკებში, როლი წითელი ჯვრისა სულ სხვა ხასიათისაა.

წითელი ჯვარი საბჭოთა რესპუბლიკებში უპირველეს ყოვლისა, როგორც ორგანიზაცია, შემდგარია თვით მუშებისა, გლეხებისა და პროლეტარული სულის მატარებელი მშრომელი ინტელიგენციისაგან. აქ არ აქვს ადგილი არც ერთს ბურჟუა-კაპიტალისტს ან საბჭოთა ხელისუფლებაში სამოქალაქო უფლებას მოკლებულ პირს; აქ არ აქვს ადგილი ფილანტროპიას. ეს ორგვნიზაცია თვით მუშებისა და გლეხების ნებით და მატერიალურის სახსრითაა შექმნილი და ამიტომაც წითელი ჯვარი გამომხატველია იმისა, თუ რამდენად მოწიფულია ესა თუ ის ერი პროლეტარული საზოგადოებრივობის ნიადაგზე.

საბჭოთა რესპუბლიკებს და მათს წითელ ჯვარს არაოდეს ჰქონიათ დასახული იმპერიალისტური მიზნები და არც მისწრაფება კოლონიების შეძენისა. ჰქონდათ მხოლოდ ერთი სურვილი, მხოლოდ ერთი წადილი: საკუთარის ძალ-ღონით, თვისის მცირედის წვლილით დახმარებოდნენ და მიშველებოდნენ მოყვასს, ეროვნების განურჩევლად, მისთვის წყლული დაეამებინათ. და აი, ეს ზრახვა და სულის კვეთება ასულდგმულებს, უასკეცებს ენერგიას, არ აზოგვინებს შრომას საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების წითელ ჯვრებს და კერძოდ კი საქართველოსას.

საქართველოს წითელ ჯვარს მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც ორგანიზაციას, სათანადო მთავრობის დასახმარებლად მოწვეულს, ომში ან სხვა და სხვა გაჭირვებისა და უბედურობის დროს, არამედ ერთგვარი საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობაც. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურს რკალში ვიმყოფებით და ყოველსავე ჩვენს ნაბიჯს ბეჯითად ადევნებენ თვალყურს და აფასებენ ისე, როგორც ეს მათ სურთ, და არა ისე, როგორც ეს არის ნამდვილად. ამიტომ ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოთ. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, როცა მას ჰკითხეს უკანასკნელ საერთაშორისო მე-XI კონფერენციაზე ბელორუსიის წ. ჯ. მიუწვევლობის მიზეზი, უპასუხა: „ჩვენს შეკითხვაზე პოლიტიკურმა დეპარტამენტმა გვიპასუხა, რომ ბელორუსია სახელმწიფოდ არა გვაქვს აღნიშნულიო". ისიც მოვიგონოთ, რომ წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტი მენშევიკების ცდას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობისას საქართველოს წითელი ჯვრის დე-იურე ცნობასთან აკავშირებდა და სხ. (იხ. მენშევიკების წარმომადგენელის მოქმედება ჟენევაში. წით. ჯვრის არქივი).

ყოველივე ეს ცხადჰყოფს, რომ სათანადო დონეზე დგომა წით. ჯვრის ორგანიზაციისა, მისი სიძლიერე და ავტორიტეტი ჩვენი პოლიტიკურისა და საზოგადოებრივი მოწიფულობის მაჩვენებელი იქნება.

ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა მნიშვნელობა აქვს წით. ჯვრის მუშაობას და მის მიერ ბჟულეტენების სახით ამ მუშაობის ანგარიშის გამოქვეყნებას. ბჟულეტენი აღნუსხავს იმას, თუ რა გაუკეთებია საქართველოს წითელ ჯვარს, ან რა პერსპექტივები აქვს დასახული აღსასრულებლად. ამ ბჟულეტენებში, როგორც ფოკუსში, თავი უნდა მოვუყაროთ და ყოველმხრივ გავაშუქოთ ყველაფერი ის, რაც ასულდგმულებს და ხორცს ასხამს წითელ ჯვარს, რაც ამ უკანასკნელს მიზნად დაუსახავს. ეს ბჟულეტენი იქნება აღმბეჭდელი და მიმომხილველი წით. ჯვრის საზოგადოების მოღვაწეობისა, იგი იქნე-

ბა საუკეთესო იარაღი ჩვენის პროლეტარული საზოგადოებრივის შეგნების გაძლიერებისა და უდიდესი საბუთი და ურწმუნოთათვის იმის დამამტკიცებელი, თუ რამდენადა ვართ პოლიტიკურად და საზოგადოებრივად მოწიფულნი და მომზადებულნი, ან კიდევ რა შეუძლია შეჰქმნას მუშათა და გლეხთა საზოგადოებამ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ამასთანავე, ეს ბჟულეტენი ის არტერია იქნება, რომელიც ასაზრდოებს წით. ჯვრის ცენტრალური კომიტეტის იდეას ფართო მასასთან დაკავშირებით და აგრეთვე ის უხილავი, მაგრამ დიდი ძალა, რომელიც უფრო მჭიდროდ, უფრო დაახლოვებით შეადუღებს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტს მუშებსა და გლეხებთან ამ უკანასკნელთა საკეთილდღეოდ.

საქართველოს წითელი ჯვრის დღე.

წითელი ჯვარი სვიმბოლოა სათნოებისა და კაცთმოყვარეობისა. მისი თბილი ხელი და მოსალბუნე გული თანაბარის მზრუნველობით ევლება თავს იმ უბედურს, რომელიც ომის საშინელ ღმერთს გაუხდია თვისი მძაფრი სისხლის წყურვილის მოსაკლავად.

ბრძოლის ცეცხლით გაჩაღებულს ველებზე, ციცსა და ნესტიანს თხრილებში, ზარბაზანთა გრგვინვით ატორტმანებულს საომარს გემებზე, წვიმასა და თოვლში, ქარსა თუ ქარბუქში, ყველგან და ყველას ეცლინება, როგორც უანგარო—ნუგეშინის მცემელი და თავდადებული მომვლელი. მისი უხვი კალთა მუდამ სავსეა ნაირ-ნაირის ნობათით: ბრძოლის ველზე დაცემულთ-დაჭრილთა და დაავადებულთ იგი პირველი უხვევს პირღია იარებს და უამებს წყლულებს, ხოლო საავადმყოფოებსა და თავშესაფრებში მზრუნველ დედასავით დასტრიალებს თავს და უსუბუქებს ტანჯული სულის ოხვრას. მათ კი, ვინც ომის ასპარეზზე დარჩენილა და ჯერ კიდევ არ მიჰკარებია მ'ახვრალი ხელი ომის საშინელებისა, უნერგავს იმედს, რომ უბედურობის დროს უპატრონოდ არ იქნებიან მიტოვებულნი.

მაღალია მიზანი და განუსაზღვრელი მნიშვნელობა წით. ჯვრისა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ღვიძლი შვილია მუშურ-გლეხური ქართველი ხალხისა. მას, ქართველ მუშასა და გლეხს —თავის წითელ დროშაზე გარკვევით უწერია მშრომელთა სამშობლოს დაცვა, რადგანაც მას ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყავს, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს მისი მოქალაქობრივი მყუდრო ცხოვრება.

ამიტომაც ესაჭიროება მას თავისი წითელი ჯვარი, წითელი სვიმბოლო უანგარო დახმარებისა და მზრუნველობისა. მაგრამ მხოლოდ საომარის ფრონტით არ განისაზღვრება მოვალეობა და მოღვაწეობა საქართველოს წითელი ჯვრისა. მშვიდობიანობის დროსაც მრავალი ფრონტი აქვს მას გასამაგრებელი; სხვა და სხვა სოციალური სენი და უბედურობა, რომელიც უმთავრესად ნაანდერძევია მსოფლიო და სამოქალაქო ომებისაგან, დაუყოვნებლად მოითხოვს მისგან სასტიკი ბრძოლის გამართვას. მარტო ერთი მალარია—ეს საშინელი სენი ჩვენი მშრომელი ხალხისა—რომლითაც დაავადებულია საქართველოს მცხოვრებთა 75%, მკაფიოდ უკარნახებს მას შესაფერისი ღონისძიების მიღებას.

საქართველოს წითელი ჯვარიც, შეძლების გვარად, პირნათლად ემსახურება ამ ორმაგი ფრონტის მოთხოვნილებას: იგი ცდილობს მზად იყოს მოსალოდნელი ომისათვის, ხოლო ამ მოლოდინში მედგრად შეებრძოლოს ქართველი ხალხის სოციალურ სხვა და სხვა ავადმყოფობასა და სტიქიონურ უბედურობას. მაგრამ საამისოდ მას ესაჭიროება ფართო მასების თანაგრძნობა და უანგარო მატერიალური დახმარება.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს წითელმა ჯვარმა აირჩია სამი დღე: 25, 27 და 28 იანვარი, როგორც წლიური საკუთარი დღე, რომელთა განმავლობაშიც ცდილობს ფართო მასებში გაიტანოს თვისი დროშა და, მასზედ დაწერილი, სათნოების მაღალი მიზან-დანიშნულება მშრომელი ხალხის მიზან-დანიშნულებად გაჰხადოს. 27 იანვარი საქართველოს წითელი ჯვრის დაარსების დღეა, მაშასადამე წლის თავიც.


საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის მშრომელი ფართო წრეები ჩვეულებრივის მხურვალე თანაგრძნობით გამოეხმაურებიან წითელი ჯვრის დღესასწაულს და პატიოსანი შრომით მოპოვებულს თავიანთ წვლილსაც არ დაიშურებენ მისი მოღვაწეობის გასაბაყოფიერებლად.

ვისაც კაცობრიობის საუკეთესო მომავალი სწამს და უყვარს, უნდა უყვარდეს წითელი ჯვარიც.

სამდღიურის მომწყობი კომიტეტი: **1) ორახელაშვილისა მარიამ, 2) მამულია ილია, 3) მახარაძისა ნინო, 4) ორჯონიკიძისა ზინაიდა, 5) ცხაკაიასი შარლოტა, 6) გეგეჭკორისა ვერა, 7) დუმბაძისა ქეთევან, 8) მგელაძისა ნინო, 9) ძიძიშვილისა ელისაბედ, 10) ყურულაშვილი გიორგი, 11) მარჯანიშვილი კოტე, 12) იაშვილი პაოლო.**

საქართველოს წითელი ჯვარი და ჟენევის საერთაშორისო კომიტეტი


საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის ურთიერთობათა ხასიათს საკმაოდ განსაზღვრავს ის საერთაშორისო დამოკიდებულება, რომელიც დღემდე დამყარებულია საბჭოთა რესპუბლიკებსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის. წითელი ჯვრის ჟენევის საერთაშორისო კომიტეტი და წითელი ჯვრების საზოგადოებათა ლიგა თუმცა სახე-



საქ. წით. ჯვ. ცენტრ. კომიტ. პრეზიდ. თავმჯდომარე ი. მამულია.

ლით დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ საქმით კი მხოლოდ იმას აკეთებენ, რაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ხელისუფლებას ეპრიანება. სათანადო მთავრობის დიპლომატიის დაუკითხავად ვერც ერთი ზემოდასახელებული, საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია ვერ გადასდგამს რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს. ამის ნებას არც მათი წესდება იძლევა. საქმე ისაა, რომ წითელი ჯვრის ჟენევის საერთაშორისო კომიტეტის არსებობა და მოღვაწეობა ემყარება ორს საერთაშორისო აქტს—1863 წლის კონფერენციას და 1906 წლის კონვენ-

ციას. ამ უკანასკნელზე ხელი უწერია სხვადასხვა ქვეყნის 38 სახელმწიფოს. ვიდრე რომელიმე წითელი ჯვრის საზოგადოება გახდებოდეს წევრი ჟენევის საერთაშორისო კომიტეტისა, საჭიროა, რათა მისმა მთავრობამ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებამ, მიიღოს და ხელი მოაწეროს ჟენევის 1906 წლის კონვენციას; თუ ერთი წე-



საქარ. წ. ჯ. საზ. აჭარის წით. მთვარის კომიტეტი.

ლის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა, რომელიმე სახელმწიფო — მონაწილე ხსენებული კონვენციისა — წინააღმდეგი არ გახდება ახლადმიღებული სახელმწიფოისა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ამავე სახელმწიფოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აღძრას შუამდგომლობა ჟენევის კომიტეტის წინაშე წევრად მიღების შესახებ. ეს

ორმაგი ეგზიჟანსი არის მიუცილებელი პირობა ჟენევის საერთაშორისო კომიტეტთან ნორმალური დამოკიდებულების დამყარებისა. ხოლო, რაკი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას ჯერ ჯეროზით არც მიულია და არც ხელი მოუწერია 1906 წლის ჟენევის კონვენციაზე, ცხადია, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ვერ გახდებოდა ჟენევის საერთაშორისო კომიტეტის ნამდვილი



წ. ჯ. ცენტრალური კომიტეტის სადგომი.

წევრი და ამიტომაც მისი ურთიერთობა ვერ იქნებოდა ნორმალური ხასიათის მატარებელი. მიუხედავად ასეთი გარემოებისა, მაინც საჭირო იყო, რათა საქართველოს წითელ ჯვარს ერთგვარი შესაძლო დამოკიდებულება დაეჭირა ჟენევის საერთაშორისო კომიტეტთან საქმიანობის ნიადაგზე. ამას მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის სამკურნალო-


სასანიტარო პირობების უნუგეშო საერთო მდგომარეობა, რომელიც ნაანდერძევი იყო მსოფლიო და სამრჭალაქო ომების შედეგთა მიერ. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო მალარიის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა იმდენს კულტურულსა და ნივთიერ საშუალებას მოითხოვდა, რომ მხოლოდ საკუთარის ძალღონით მისი დაკმაყოფილება, რ. ს. ფ. ს. რის სახჯანკომის უანგარო და ძმური დახმარებაც რომ ვიანგარიშოთ, შეუძლებელი იყო. ხოლო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და მზგავსთ საქველმოქმედო ორგანიზაციათ კი საამისოდ საკმაო შეძლება აქვთ.



წ. ჯ. ტფილისის ცენტრ. ამბულატორია.

ამ მოსაზრებით, საბჭოთა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ საერთაშორისო დამოკიდებულებაში პირველად აღიმაღლა ხმა-გასული წლის მაისში და პროფ. ფრიტიოფ ნანსენის კომისიის წარმომადგენელს მოსკოვში სთხოვა მატერიალური და სამკურნალო დახმარება. ამ მიმოწერის დროს, რომელიც ამ საქმის გარშემო გაიმართა, ერთის მხრით ჩვენი საზოგადოებისა და მეორეს მხრით ნანსენსა და ჟენევის საერთაშორისო კომიტეტს შორის, გამოირკვა ერთი მეტად კურიოზული ფაქტი: აღმოჩნდა, რომ ხ'ენებულს უცხოურ ორგანიზაციებს არ სცოდნოდათ არ'ებობა დამოუკიდებელ საბჭოთა

საქართველოსა და ოგინი ძველებურად სთვლიდნენ მას რუსეთის ერთ-ერთს პროვინციად. ხანგრძლივი მიმოწერის პროცესში, საქართველოს წითელმა ჯვარმა გააქარწყლა ეს გაუგებრობა, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენსა და ჟენევის კომიტეტს შორის უშუალო დამოკიდებულების დამყარება; ასე რომ, გასული წლის აგვისტოში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მიწვეული იყო წითელ ჯვართა საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებლად ჟენევაში. მაგრამ ჩვენი საზოგადოება არ დაკმაყოფილდა ასეთი გარემოებით და საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო წითელი ჯვრების კონფერენ-



აჭარის-წყლის საექიმო პუნქტი.

ციის დადგენილებით, რომელიც მოხდა მოსკოვში, 1923 წ. მაისში, მოითხოვდა, რათა მასთან ერთად მიპატიჟებულნი ყოფილიყვნენ აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მიუწვეველნი წითელი ჯვრების საზოგადოებანიც. ამ მოლაპარაკების სასურველად დამთავრებას ხელი შეუშალა შვეიცარიაში მომხდარმა, ამბ. ვოროვსკის მკვლელობამ. საქართველოს წითელი ჯვარი თანახმა იყო კონფერენციაზე დასწრებისა თუ ეს უკანასკნელი სხვა ქვეყანაში იქნებოდა გადატანილი.

ამის შემდგომ კიდევ უფრო გარკვეულის გეზით წარიმართა ჩვენი საზოგადოებისა და საერთაშორისო კომიტეტის ურთიერთობა.

ჟენევის კომიტეტი და შეერთებული კომისია წითელი ჯვრების საზოგადოებათა ლიგისა და წითელი ჯვრების საერთაშორისო კომიტეტისა მეტის ყურადღებით ეკიდებიან ჩვენი საზოგადოების ყოველ შუამდგომლობას. ზემოხსენებულმა, ნანსენის კომისიისადმი, ჩვენმა მიმართვამ გამოიწვია ჩვენსა და ჟენევის კომიტეტს შორის უშუალო მოლაპარაკება იმ დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც საჭირო



საქართველოს რაზმი გარე-კახეთში.

იყო ჩვენს ქვეყანაში მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის ცხოველმა საქმიანობამ ამ მხრით კეთილი ნაყოფი გამოიღო: გასული წლის ნოემბრის უკანასკნელს რიცხვებში ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი წერილი, რომლის თარგმანიც, მისი მნიშვნელობისა გამო, აქვე მოგვყავს უცვლელად:

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

ჟენევა.

დელეგაცია რუსეთში.
მოსკოვი.
ნიკოლსკის ქ.

15 ნოემბერი, 1923 წ.

№ 5224.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს

ტფილისში.

პირა ექ. კანდელაკისადმი.

ბატონებო!

დამატებად ჩემი წერილისა, № 4780 ამა თვის 16-დან და ჩემივე ექ. კანდელაკისადმი ამა თვის 8-ს № 4609, მიწერილის პირის




მალარიით ავადმყოფი ბავშები გარე-კახეთში.

დართვით, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და წითელი ჯვრების საზოგადოებათა ლიგის შეერთებულმა კომისიამ განიხილა თქვენი დაუყოვნებელი მომართვა, რომელიც გადაეცა მას თქვენი წარმომადგენლის მიერ მიმდინარე წლის 20 ივლისს, და თანხმობას აცხადებს, გაგზავნოს საქართვე-

ლოში მისსია, რომელიც შეჰქმნის სადემონსტრაციო სადგურს მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც, ჩვენის აზრით, ფრიად სასარგებლოა განზრახული საქმისთვის.

შეერთებულ კომისიას არა ერთ გზის გაუწევია რუსეთისთვის სამკურნალო-სანიტარული დახმარება და სწამს, რომ ნაციონალური წითელი ჯვრების მხრით შეუძლებელია ნაყოფიერი დახმარების აღმოჩენა თუ იქ არ არსებობს საცდელი ბაზა და ამ ცენტრიდან გაგზავნილი მოხსენებანი, რომელთაც მათ ანგარიში უნდა გაუწიონ. ის



სამალარიო ექსპედიცია ალაზან-გაღმა.

მატერიალური დახმარება, რომელსაც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ინატრის, ვერ განვითარდება რეალურად თუ საქართველოში ადგილობრივად არ იქნებიან საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები.

ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო კავშირიც, ვფიქრობთ, შეუერთდება ჩვენს მოღვაწეობას და მოაწყობს ბავშთა დახმარების საქმეს შედეგებული რძის თუ საზრდოს მიწოდებით ან ისეთის სახით, რომელსაც ადგილობრივ საუმჯობესოდ დაინახავს, რათა შეჰქმნას სამაგალითო-სადემონსტრაციო ცენტრი.

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას ისეთი შედეგები მოსდევს, რომ შეუძლებელია ლაპარაკი ისეთი დახმარების შესახებ ნაციონალურ საზოგადოებათა მხრით, რომელიც არსებულს საჭიროებას შეეფერებოდეს, მაგრამ ინტერესი ამ საქმისადმი თანდათან გაღვივდება და ქართველ ერს ხომ იმდენი სიმპატია აქვს მოპოვებული მთელს ქვეყანაზე, რომ იგი გვაძლევს უფლებას ვიქონიოთ იმედი თვალსაჩინო თანხების შოვნისა მის დასახმარებლად.

თქვენი წერილის მიღების სასიამოვნო მოლოდინში, იწამეთ ბატონებო, ჩვენი უგულწრფელესი სურვილები.

ვერლენ.

საერთაშორისო წითელი ჯვრის დელეგატი რუსეთში“.




სამალარიო ექსპედეცია ალაზან-გალმა.

ამ რიგად ჩვენსა და ევროპის საერთაშორისო კომიტეტს შორის საქმიანობის ნიადაგზე დამყარებულმა ურთიერთობამ შეჰქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ, თუმცა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ოფიციალურად ცნობის საკითხი ჯერ-ჯერობით არ აღძრულა, მაგრამ de facto ჩვენი საზოგადოება უკვე ცნობილია.

მალარია — ჩვენი ხალხის საშინელი მტერი.

საქართველო თავიდანვე მალარიან ქვეყნად ითვლებოდა. ამ ას ორმოცი წლის წინად მოგზაური Güldentact თავის წიგნში „Reise durch Kaukasus“ საქართველოში მალარიის ძლიერ გავრცელებას იხსენიებს, განსაკუთრებით იმერეთში და ასწერს კიდეც თავის და თითქმის ყველა თავისი თანამგზავრების ამ სენით დაავადებას.

მალარია მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ენდემიურად გავრცელებულია, გარდა მაღალი მთიანი ადგილებისა, თუმცა ამ უკანასკნელშიც ხშირად სპორადიულ შემთხვევებით იჩენს ხოლმე თავს.



სამალარიო რაზმი სართიჭალის რაიონში.

არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მდინარე, ხშირად პატარა ხევებიც კი, რომ მის გასწვრივ მალარიის ენდემიური ბუდეები არ იყვნენ. ყველაზე უფრო დაავადებულია რესპუბლიკის დასავლეთი და აღმოსავლეთი კუთხეები: დასავლეთით — შავი ზღვის პირას, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა და რიონის მთელი ქვემო და შუა მდინარეობა და აღმოსავლეთით — ალაზნის ველი, განსაკუთრებით მისი მარცხენა ნაპირი, ყარაიაზი და ბორჩალო.

ეს ჩამოთვლილი კუთხეები ავადმყოფობის სიძლიერით ერთმანეთისაგან არ განირჩევიან. ყველა თავიდანვე მალარიის უძლიერესი ენდემიური ბუდეებია. მცხოვრებთა დაავადება აქ ყოველთვის წლიურად 80 — 85% აღწევდა. აქაურ მცხოვრებთ, ყველას განურჩევლად, სახეზე ერთგვარი „მალარიული ფერი“ დაჰკრავთ, რის საშუალებითაც ყოველთვის ადვილია მათი სადაურობის გამოცნობა. ეს ძლიერი ენდემიური განაპირეები მთელ თავის სივრცეზე „ჯანმთელ ოაზისებით“ არ არიან შეწყვეტილნი. მათ გაბმული, ერთიანი, „მთლიანი




მალარიით ავადმყოფი ბავშები, (ალაზან-გალმა).

მალარიული“ ტერიტორია უჭირავთ. ამ ძლიერად დაავადებულ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა მდებარე ტერიტორიაც არ არის მალარიისაგან თავისუფალი: იგიც მალარიის მრავალ სხვადასხვა სიძლიერის და სიდიდის ენდემიურ ბუდეებითაა აჭრელებული. მტკვრის მთელს მდინარეობაზე და მისი შემდინარეების: ფოცხოვის, ლიახვის, ქსნის და არაგვის გაყოლებით მრავლად შეხვდებით ამგვარს ბუდეებს, რომლებიც თვით მაღლა მთებზედაც კი ჰყვებიან. განსხვავება რესპუბლიკის ამ შუა ტერიტორიისა მის ძლიერ მალარიან დასავლეთ აღმოსავლეთის განაპირეებისაგან უმთავრესად ის არის, რომ აქ, ამ

მალარიის ბუდეებს შუა გაფანტული, უფრო ჯანსაღი ადგილები ცოტა მოზრდილს, ან უფრო მცირე ოაზისებსავით გვხდება, სადაც ადგილობრივ მალარიას თითქოს ვერა ვხვდებით. მდინარე იორიც მალარიანობაში სხვა დანარჩენ ქართლის მდინარეებს არ ჩამოუვარდება და თავის ქვემო მდინარეობის ველზე ხომ მალარიის სიძლიერით ალაზნის გაღმა ადგილებსაც კი გვაგონებს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში მალარიისაგან თავისუფალი ადგილია საძებნელი და არა მალარიანი.


1921 წელს მალარია მთელს ჩვენს ქვეყანას წარმოუდგენელი ძალიერის ეპიდემიური სახით მოევლინა. იგი უკვე ყველგან გაჩნდა,



წითელი ჯვრის სანიტარული მატარებელი.

ისეთ ადგილებსაც კი მოედო, სადაც წინად მისი სახსენებელიც კი არა ყოფილა. ძველიდანვე ძლიერ ეპიდემიურ ადგილებში ხომ ხალხის მალარიით დაავადებამ 100% მიაღწია, მაგრამ ამგვარსავე სურათს ვხედავდით წინად არა მალარიულ ადგილებშიაც. ხალხის ამ თითქმის აბსოლიუტურ დაავადებასთან ერთად სიკვდილიანობაც აიწია. მაგალითად, წინად სრულიად არამალარიულს საბურთალო-ვაკეში, ტფილისის განაპირა უბანში, (რომ საბურთალო და ვაკე წინად მალარიანი


ადგილები არ იყვნენ ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ 1910—13 წლებში აქეთ გადმოიტანეს დიდი სასწავლებლები პანსიონით, სასულიერო სემინარია და სათავად-აზნაურო გიმნაზია და უნდოდათ პოლიტეხნიკუმის აშენებაც), სადაც 3.000 მცხოვრები ითვლებოდა, აგვისტოდან ყველა განურჩევლად ლოგინად იწვა და ამ 3.000 კაცში ორი თვის განმავლობაში 500 კაცი მალარიისაგან გარდაიცვალა. ალაზნის გაღმა სოფელ გიორგეთში 500 მცხოვრებში 80 გარდაიცვალა, სოფ. გვიმრიანში მცხოვრების 40% დაიხოცა მალარიისაგან. ასეთივე სურათი გვხვდებოდა დასავლეთის, გურია-სამეგრელოს სო-



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. გასახდელი განყოფ.

ფლებშიც. ტფილისის ახლო მდებარე ყუმისი, თელეთი, წალისყური, ხატის სოფელი, სადაც წინად მალარია მხოლოდ სპორადიულად თუ გვხვდებოდა, ამ წელს ყველა ლოგინად იწვა. 1922 წ. მალარიის ეპიდემია უფრო ძლიერია იმით, რომ მან უკვე დაავადებულ ადგილებში თავისი სიმკაცრე არ დაჰფარა და კვლავ ახალ ადგილებსაც მოედო. თვით მთიან სვანეთშიაც მალარიით ავათმყოფები მასიურად გაჩნდნენ (იხილე ანგარიშები საბურთალოს, კახეთის, გურია-სამეგრელოს სამალარიო ექსპედიციებისა და მოხსენებები ადგილებიდან სრულიად საქართველოს სამალარიო ყრილობაზე 1923 წ. აპრილში).

სამწუხაროდ ოფიციალური სტატისტიკა მთელი ქვეყნის მალარიით დაავადებულთა რიცხვს სისწორით ვერ იძლევა. ერთი მთავარი მიზეზთაგანი, მოუწყობლობის გარდა, იყო კიდევ ის, რომ სოფლის საექიმო პუნქტებს და აფთიაქებს ქინაქინა არ ჰქონდათ. ხალხი წამალს ვერ იღებდა მისი უზომო სიძვირისა ან მისი სრულიად



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. აცრა.

არ არსებობის გამო და ამიტომ საექიმო პუნქტებზე არც კი მოდიოდა. ღვთის ანაბარა მიტოვებული ხალხი იხოცებოდა და სტატისტიკას კი ხელში ვერ უვარდებოდა. 1923 წ. აპრილში მომხდარ საქართველოს სამალარიო ყრილობის ანგარიშებიდან ჩანს, რომ 1921 — 1922 წ. მთელს რესპუბლიკაში მალარიით დაავადებულთა რიცხვი არ უნდა ყოფილიყო 1.500.000 — 1.700.000 კაცზე ნაკლები. საერ-

თოდ კი ყოველ წლივ (ნახსენებ ორი წლის გარდა) მინიმუმი დაავადებისა უნდა იყოს არა ნაკლებ 800.000 კაცისა. (მთელს საქართველოში 2.500.000 მცხოვრებია).

(საქართველოს სამალარიო ყრილობის 1923 წ. აპრილის ანგარიშები).


ნახსენებ ორი წლის ეპიდემიის უზომო სიძლიერეს ხელს უწყობდა ძლიერ კიდევ ის, რომ მთელი ქვეყანა ქინაქინის ძლიერ დიდს ნაკლებობას განიცდიდა. მაგალითად, 1921 წელს მთელი რესპუბლი-



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. აბანოს განყოფ.

კის ქინაქინის მარაგი არ აღემატებოდა 40 კილოს. ეს ქინაქინა ერთს წამში დაიხარჯა და ხალხი სულ მთლად უწამლოდ დარჩა. 1921 წელს ჯარმთელობის სახალხო კომისარიატმა ექსპედიციების საშუალებით დაარიგა სულ 100 კილომდის ქინაქინა უფასოდ. სოფლის აფთიაქებშიც აქა-იქ გაჩნდა ცოტაოდენი ქინაქინა. მაგრამ იგი არ იყო სრულებით საკმაო და ამასთანავე ისეთ ძვირად ფასობდა რომ სოფლის ხალხს ორი ფხენილის შეძენაც კი არ შეეძლო. ამ გვარს პირობებში მალარიანთა წესიერ წამლობაზე ლაპარაკიც კი მეტია. ციების მიტოვების დროებით შეჩერებაც კი შეუძლებელი იყო იმ ქინაქინის რაოდენობით, რომელიც მაშინ რესპუბლიკაში ტრიალებ-


და. ამ გვარმა მდგომარეობამ, რასაკვირველია, თავისი კვალი დააჩნია ხალხსა, იგი საერთოდ უწამლებელი დარჩა, ახლად დაავადებულ სოფლებში მალარია ჩარჩა და მუდმივად ენდემიურად გადაიქცა. სიკვდილიანობა საშინლად გაიზარდა, ბევრს ადგილას წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწია. ამ გვარს კატასტროფიულ მდგომარეო-



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. დეზინფექცია.

ბას ყველამ ყურადღება მიაქცია და 1923 წ. აპრილში მოწვეულ იქმნა ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების მიერ სპეციალური სამალარიო ყრილობა მთელი რესპუბლიკის მაშტაბით. ამ ყრილობის ანგარიშიდან სურათი ხალხის დაავადებისა უფრო საშინელი შეიქმნა. სიკვდილიანობამ გაუსწრო დაავადებულთა რიცხვს. ხალხი დაუკონებლივ ენერგიულ შველას თხოულობდა, წინააღმდეგს


შემთხვევაში მოკლე ხანში ქვეყანას ამოწყვეტა მოელოდა. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიქცა დღის ლოზუნგად და ყველა, ვისაც კი როგორ შეეძლო, ჩაება ამ მუშაობაში, ჯერ 1921 წ. რკინის გზამ მოაწყო თავისი საკუთარი მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია, რკინის გზის ხაზზე მოაწყო მოსამსახურეთა ქინაქინიზაცია. შეიძინა ქინაქინა, დაარსა მალარიანთათვის საავადმყოფო ტფილის-



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. სამრეცხველო.

ში და სურამში (ეს უკანასკნელი კლიმატიური) და 1923 წ. თავისი ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტიც გახსნა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაარსა თავისი ცენტრალური სამალარიო სადგური ტფილისში და ყოველ ზაფხულს მძიმე მალარიან ადგილებში სამალარიო ექსპედიციებს გზავნის ქინაქინის უფასო დარიგებით.


1922 წ. გაიგზავნა 6 ექსპედიცია, რომელმაც დაარიგა 100 კილომდის ქინაქინა. 1923 წ. გაიგზავნა 4 ექსპედიცია და დაარიგა 185 კილო ქინაქინა. 1923 წ. საქართველოს წითელმა ჯვარმაც გაგზავნა 2 პატარა სამალარიო რაზმი და ერთი დიდი ექსპედიცია კახეთის დაავადებულ ადგილებში. ამათი საშუალებით მან დაარიგა 50 კილო



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. საშრობი.

ქინაქინა; ამას გარდა საქართველოს წითელ ჯვარს აქვს ტფილისში მალარიანთათვის ამბულატორია სპეციალურ ლაბორატორიით, სადაც მალარიანთა სისტემატიური წამლობა სწარმოებს. ქ. ტფილისმაც გაიჩინა თავისი სამალარიო რაზმი და აწარმოებს ამ სენის წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლას ჰიდრო-ტეხნიკურის საშუალებებით და მალარიანთა უფასო წამლობით.


მეცნიერულ ხელმძღვანელობას ყველა ამ დაწესებულებას და ექსპედიციებს უწევენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამალარიო სადგური და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტროპიკულ სნეულებათა განყოფილება. მაგრამ ეს ყველაფერი ერთი წვეთია იმ მალარიის ზღვაში, რომელიც ჩვენს ქვეყანას აღრჩობს. წელს სამალარიო ექსპედიციები თავიანთ წინასწარ



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. საუთოო.

მოკლე ანგარიშებში სოფლების კვლავ საშინელ დაავადებას აღნიშნავენ. გამოანგარიშებული Roos-ის ინდექსი არც ერთ სოფელში, სადაც ექსპედიციებს უმუშავნიათ, არ არის 4.5—5,0 ნაკლები მრავალ სოფელში 7—8-საც აღწევს. პარაჰიტალური ინდექსი სახელდახელო გამოკვლევებით მრავალ სოფელში 70—80-% იძლევა. (გა-

მოკვლევა ნაგლესის საშუალებით ხდება. სქელს წვეთს ჯერ კიდევ ყველა არა ხმარობს საუბედუროდ) უსახსრობის გამო ვერავითარი ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობა ვერ ხერხდება, ამავე მიზეზით არავის შეუძლიან ქინაქინის იმდენი მომარაგებაც კი, რომ ყველა ავადმყოფს დამაკმაყოფილებლად მაინც უწამლოს. საერთო ქინინიზაციაზე ლაპარაკიც ხომ სულ არ შეიძლება ქინაქინის, როგორც ხედავთ, დიდი ნაკლებობის გამო. მთელს რესპუბლიკას თავის მალარიანთა წამლობისათვის სჭირდება—25.000 კილო ქინაქინა და წელს ხალხს და-



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. ჩასაცმელი.

ურიგდა სულ 200—250 კილო. წელს ყველა ექსპედიციამ შესძლო მხოლოდ 45.000 კაცის მიღება და ცრტაოდნავ ქინაქინით დაკმაყოფილება. ამჟამად ქინაქინის მთელი მარაგი დახარჯულია და თუ იგი როგორმე არსაიდან შემოვიდა, წელსაც წინა წლების სურათი განმეორდება. უმთავრესად ჩვენი დახმარება შეიძლება ქინაქინის მიწოდებით. ეს იქნება უპირველესი და უმნიშვნელოვანესი რეალური დახმარება. წელს დაბრუნებული ექსპედიციებიც ხაზს უსვამენ ყველგან თავის მოხსენებებში სიკვდილიანობის საშინელ ზრდას. დაბადებულთა რიცხვი უკან რჩება გარდაცვალებულთა რიცხვს. ყველგან, სადაც

მათ მუშაობა უხდებათ, სიკვდილის მიზეზი თითქმის მხოლოდ მალარიაა. ასე ამბობენ ექსპედიციები და ამას დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამასთანავე არიან ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც აწარმოებენ მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლას, მაგრამ უქონაქინობისა და უფულობის გამო ხელები დიდად შებორკილი აქვთ. ამის გამოა, რომ ექსპედიციები მხოლოდ ეპიდემიურ ხანაში 2—3 თვით იგზავნებიან. მარტო წითელმა ჯვარმა შესძლო ერთი ექსპედიციის გაგზავნა ალაზნის გაღმა მთელის წლით. ამ ექსპედიციამ მთელი წელიწადი და მეტიც უნდა აწარმოოს თავის რაიონში მალარიანთა წამლობა და საერთოდ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა.

ექ. ბეს. ოქროპირიძე.

წითელი ჯვრის სამალარიო ექსპედიცია ალაზან-გაღმა

1923 წ. 14 აგვისტოს, წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, რწმუნებული ჩემდამი ექსპედიციით გავემგზავრე ალაზან-გაღმა მხარეში მალარიასთან საბრძოლველად, სადაც მივედით და დავბინავდით 20 აგვისტოს ალაზან-გაღმა, შუა ალაგას სოფ. ბაისუბანში, დაბინავებისთანავე ჩემ მიერ იყო მიწერილობანი დაგზავნილი თითქმის ყველა ალაზან-გაღმა სათემოში, რომ წითელი ჯვრის ექსპედიცია ღებულობს მალარიით და სოციალური სენით ავადმყოფებს და ამასთან ერთად აძლევს წამლებს უფასოდ. 25 აგვისტოდან დაიწყო ავადმყოფების დენა და უკვე პირველ სექტემბერიდან ას-ორასობით ყოველ დღე მოდიოდნენ ავადმყოფები. რადგანაც დიდძალი ავადმყოფი მოგვაწყდა, ლაბორატორიული მუშაობა დროებით შევწყვიტეთ. მხოლოდ სისხლს ვღებულობდით ავადმყოფებიდან და ვინახავდით იმ დროისთვის დასამუშავებლად, როცა ცოტად თუ ბევრად შეცლილი ვიქნებოდით. თუმცა ჩემდამი მოცემული ინსტრუქციით რადიუსი ჩემი მოქმედებისა განისაზღვრებოდა 10 ვერსის მანძილით, მაგრამ დავინახე რა, ის ენით აუწერელი გაჭირვება ხალხისა მთელს გაღმა ალაზან მხარეში, სადაც არც ერთი სოფელი და თითქმის არც ერთი ოჯახი არ იყო ისეთი, სადაც მალარიით არ იყვნენ ავად, ამიტომ მე პირადად საჭიროდ ვცანი ზაქათალის ოლქის საზღვრებიდან გავაზამდე, სიგრძით დაახლოვებით 50

ვერსი და სიგანით 22 ვერსის მანძილისთვის, მომეკიდა ხელი და შეძლებისდაგვარად დამეწყო მალიარიის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ქინაქინის დარიგებით, აგრეთვე ლექციებისა და საუბრების მოწყობით. ზემოხსენებული მანძილის სივრცეზე არის დასახლებული 52 სოფელი დაახლოვებით 40 ათასი სული. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმერლობაა შორაპნის მაზრიდან გადმოსახლებულნი, ოსობა გორის მაზრიდან, რუსობა თერგის და ყუბანის ოლქებიდან, რაჭველობა ალაგირიდან აყრილი 1919 წელში, ლეკობა; გურულ-მეგრელები ცოტაა. ყველაზე მეტად დაავათმყოფებული მალარიით იყო სოფელი გიორგიეთი, რომელიც გაშენებულა 1919 წელში, ბეშკენთი რომელიც გაშენებულა 1922 წელს, ბოლოკიანი და გვიმრიანა. გიორგიეთში 1919 წ. დასახლებულა 420 კომლი და შარშან ნახევარზე მეტი მოსახლეობა ამოწყვეტილა მალარიით; წელს, ჩვენი მისვლისას, თითქმის ვერც ერთი ოჯახი ვერ ვნახეთ ისეთი, რომ შიგ საღი წევრი ყოფილიყო. ვინაიდან ყველას არ შეეძლო მოეყვანა თავისი ავადმყოფი ჩვენთან, მე საჭიროდ ვცანი გამეგზავნა ექიმი გვახარია იმ სოფელში ქინაქინის ხსნარის დასარიგებლად; აგრეთვე სოფ. ბეშკენთში, რომელიც ჩვენი ამბულატორიიდგან იყო დაშორებული 19 ვერსის მანძილით.

როგორც ჰხედავთ, ექსპედიცია, რომელიც შესდგებოდა ორი ექიმისგან, აწარმოებდა ამბულატორიის მუშაობას თითქმის ყოველ დღიურად, უქმე დღეებში კი გამოყოფილი იყო რაზმი ექიმისგან და მოწყალების დისგან და დიდად დაავადებულ სოფლებს ადგილობრივ აძლევდა საექიმო დახმარებას. 20 აგვისტოდან 20 დეკემბრამდის ამბულატორიაში იყო მალიარიით ავადმყოფი 4.827 სული, ამათში მეორეთმოსულნი დაახლოებით 200 სულამდე, გარდა გიორგიეთისა და ბეშკენთისა, სადაც მიღებულნი იყვნენ 800 სულამდე. ასე რომ, სულ აღმოეჩინა დახმარება 5627 სულს მალარიით დაავადებულს. ქინაქინა დაიხარჯა 28 კილო. მეთოდი, რომელიც ჩემ მიერ იყო მიღებული ქინაქინის ხსნარის დარიგებისათვის იყო შემდეგი: ყოველი ციებიანი ავადმყოფი ღებულობდა 6% ქინაქინის ხსნარს 100,0, ანუ ექვსი დღის საყოფ წამალს და მასთან ერთად ვეუბნებოდით, მოსულიყო ხელ მეორედ წამლის წასაღებად მე-15 დღეს, მაგრამ უმრავლესობა ჩვენთან აღარ მოდიოდა მეორედ წამლის მისაღებად. ასე რომ, ის ერთგვარი კურსი წამლობისა, რომელიც მე მინდოდა გამეტარებინა, მხოლოდ ნაწილობრივად იყო გატარებული. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ავადმყოფთა დიდ უმრავლესობას რეციდივები არ ჰქონია და მეორეთ იმიტომ აღარ მოდიოდნენ. ამ ბოლო დროს, დეკემბერში

ავადმყოფების რიცხვმა შესამჩნევად იკლო და საშუალოდ დღეში 15 — 20 კაცამდე არის ყოველ დღე.

ამ ოთხი თვის დაკვირვებამ დამანახვა, რომ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა ალაზან-გაღმა მხარეში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ აღმასკომების დახმარებით. საქმე ისაა რომ, მთელი ალაზან-გაღმა მხარე წარმოადგენს ვაკე ადგილს, სადაც მრავალი ჭაობიანი ადგილია და მასთან ერთად დიდ ძალი კოლო, სანამდე ჭაობები არ მოისპობიან, მალარია მუდამ იქნება იქ. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, რომ წითელმა ჯვარმა აღძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რათა გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომ ის მოსახლე, რომელსაც მიწის ნორმა აქვს მიცემული, ვალდებული იყოს ამოაშროს ჭაობი და მოსპოს წუმპე თავის ნორმაში. ხოლო ის მიწები (საბალახოები), რომლებიც სასოფლოდ არიან დატოვებულნი, საერთო ძალით ამოიშროს; ამისათვის საჭირო იქნება კვირეულების შემოღება. ამ ჭაობების ამოშრობას დასჭირდება ერთი ხელმძღვანელი ჰიდრავლიკი, რომელსაც იმედია წითელი ჯვარი გაგზავნის. ამ მუშაობასთან ერთად ექსპედიციამ არ უნდა შესწყვიტოს თავისი მუშაობა მთელი წლის განმავლობაში. იგი უნდა ეცადოს, რომ ერთი ავადმყოფიც არ დარჩეს გაზაფხულ-ზაფხულისთვის და თუ ავადმყოფები ძველნი არ იქნებიან, მაშინ იმედია, მალარიით დაავადებულნი ან სულ არ იქნებიან ზაფხულში და თუ იქნებიან, ძალიან ცოტა.

ექ. აპ. ტყემალაძე.

წითელი ჯვრის მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენცია

(რეზოლუციები და სურვილები)

IV. საერთაშორისო ფინანსები და ფონდები.

ა) ნაციონალურ საზოგადოებათა გადასახადი.

„მე-XI-ტე კონფერენცია მადლობას უძღვნის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს იმ ცნობებისათვის, რომელიც მან ინება და გადასცა 1921 და 1922 წლების თვისი მოქმედების ანგარიშის შესახებ და აგრეთვე 1924 წლის თვისი ხარჯთაღრიცხვის შესახებ. კონფერენცია აღნიშნავს, რომ კომიტეტს იმდენად მოუხერხებია თვი-

სი ხარჯების შემცირება, რამდენათაც კი ამის ნებას აძლევდა აწინდელი საერთაშორისო მდგომარეობა. იმ მიზნით, რათა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეძლება მიეცეს, განაგრძოს თვისი საქველმოქმედო მოღვაწეობა და აღნიშნავს რა, რომ მატერიალური სახსარი, რომელიც მას გააჩნია, საგრძნობლად უკმარისია ხარჯთაღრიცხვის წონასწორობისთვის, მე-XI-ტე კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს, რათა ნაციონალურმა წითელმა ჯვრებმა იკისრონ მისი დახმარება რეგულიარულისა და თვალსაჩინო სახით. საამისოდ კონფერენცია წინადადებას იძლევა, რათა თითოეულმა საზოგადოებამ აღუთქვას აქედანვე და მომავალ კონფერენციის მოწვევამდე წლიური გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს, ან ერთი განსაზღრული თანხა, ან დაახლოვებით 1% თავიანთი წლიური ჩვეულებრივი შემოსავლისა.

ბ) იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის ფონდი.

„მოხსენება ამ ფონდის შესახებ უკვე დაბეჭდილი იყო, როცა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მიიღო ახალი წერილი 1923 წ. 13 აგვისტოს თარიღით, რუსული წითელი ჯვრისაგან. იცავს რა იმ აზრს, რომ 1918 წლ. მაისის დეკრეტის განხორციელებით ივი არ შეიძლება ჩაითვალოს მარიამ თეოდორეს ასულის ფონდის დაკარგვისათვის პასუხისმგებლად, რუსული წითელი ჯვარი შესაძლებლად სცნობს განსაზღვრულის პირობებით მზგავსისა და იმავე ოდნობის ფონდის დაარსებას.

„საერთაშორისო კომიტეტი კმაყოფილებით ღებულობს ამ განცხადებას და, ინატრის რა მხურვალედ, რათა გარკვეული გადაწყვეტილება მომხდარიყოს, რომელიც შეძლებას მისცემდეს, მსოფლიო წითელი ჯვრის ინტერესების მიხედვით, ხსენებული ფონდის კატომყვარული მიზნების განხორციელებას, აცხადებს რომ წინდაწინვე მზადაა მიიღოს დასაცავად და განსაგებლად ის ფონდი, რომლის დაარსებასაც რუსული წითელი ჯვარი აღუთქვამს".

VI. საქმე საერთაშორისო დახმარებისა იმ მცხოვრებთათვის, რომელთაც რაიმე უბედურება ეწიათ.

(ბარათაშვილის პროექტი)

წითელი ჯვრის საერთაშორისო მე-XI-ტე კონფერენცია, ითვალისწინებს რა წითელი ჯვრის საერთაშორისო მე-X-ე კონფერენციის XVI რეზოლიუციას, პარაგრაფს 5 და 6 საზოგადო უბედურობა-

თა წინააღმდეგ ხალხთა საურთიერთო დაზღვევის შესაძლებლობის შესახებ,

ითვალისწინებს რა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საზოგადო მოხსენების ანგარიშს (მე-X-ტე თავი) ხსენებულივე რეზოლიუციის შესახებ;

ითვალისწინებს რა საპარლამენტთაშორისო კავშირის რეზოლიუციას, მიღებულს მის სესსიაზე 1923 წლის 14 და 16 აგვისტოს კოპენჰაგენში, რომელიც ადასტურებს პრინციპს და იწონებს პროექტს „ხალხთათვის უბედურობის დროს სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ურთიერთ დახმარებისა და შეწევნისა“:

1) მადლიერობით იხსენებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოჩენილ საქმიანობას მე X-ტე კონფერენციის ზემოხსენებულ რეზოლიუციისათვის მსვლელობის მისაცემად;

2) თავისად ჰხდის რეზოლიუციებს, რომელნიც წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის შერეულმა კომისიამ წარმოადგინა;

და შედეგად ამისა ჯერ-ჯერობით ნაციათა ლიგასა და მთელი ქვეყნის მთავრობებს უტოვებს თავისუფლებას, იზრუნონ შესახებ იმისა, თუ რა სახით ითანამშრომლებენ იგინი როგორც ნაციონალური და ინტერნაციონალური ორგანიზაციები, უბედურობათა შემთხვევის დროს საერთაშორისო დახმარების განვითარების საქმეში;

ა) ურჩევს წითელი ჯვრის თითოეულს ნაციონალურ საზოგადოებათ თავისივე წიაღში შეჰქმნან უბედურობის დროს დამხმარე დაწესებულება, რომელსაც ექნება მტოები ან განყოფილებანი პროვინციალურს კომიტეტებში;

ბ) ურჩევს თითოეულს ნაციონალურ საზოგადოებას, შეიმუშავოს ინსტრუქციები დახმარების სხვა და სხვა ტიპისთვის, შეჰკრიბოს მოხალისე სათადარიგო პერსონალი, შეამზადოს საზოგადოებრივი აზრი და დააარსოს დახმარების საქმისათვის სათადარიგო თანხა და ადვილად მოსახმარი მასალა;

გ) ურჩევს თითოეულს ნაციონალურ საზოგადოებას, თუ კი გარემოებამ მოითხოვა, აცნობინონ, ან დაადასტურებინონ თავიანთ მთავრობათ ამ დახმარების საქმის საზოგადოების ხელში თავის მოყრა, ისე რომ, თითოეული საზოგადოება თვისი მთავრობის განკარგულებაში იყოს ფონდებისა, მასალისა, და პერსონალის განაწილების დროს, რის მიწოდებასაც კი მთავრობა ინებებს ადგილობრივისა, ნაციონალურისა თუ ინტერნაციონალური დახმარების საქმისათვის;

დ) საუმჯობესოდ სთელის, ინტერნაციონალური წითელი ჯვრის წიაღში მოაწყოს დახმარების სექცია; ეს სექცია მიიღებს და იწვლილებს ცნობებს, რომელნიც დახმარების საქმის გამგებლობას შეეხებიან საერთოდ; იგი იკისრებს, საჭიროების დროს, გადასწყვიტოს თუ რა სახით და ოდნობით უნდა იქნეს გაწეული საერთაშორისო დახმარება; იგივე შეათანაბრებს საერთაშორისო დახმარების საქმეთა წარმოების გამგებლობას;

ე) ავალებს საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანოებს, მიიღონ ყოველნაირი სასარგებლო ღონისძიებანი, რათა საერთაშორისო დახმარების საქმემ კეთილი ნაყოფი გამოიღოს, თანახმად სენატორის ჩირაოლოს წინადადებათა აზრისა;

ვ) მადლიერობის მხურვალე გრძნობით ულოცავს სენატორ ჩირაოლოს, იტალიის წითელი ჯვრის თავმჯდომარეს, მის კეთილშობილ თაოსნობას, რომელიც ასე მშვენივრად ეგუება წითელი ჯვრის აზრსა და ტრადიციას; ნაციათა ლიგას მადლობას უძღვნის იმ მოპყრობისთვის, რომელიც მან განუმზადა ამ იდეას და იმ მზრუნველობისათვის, რაც მისსავე შესწავლა-განხილვის დროს გამოიჩანა და გამოსთქვამს სურვილს, რათა ნაციათა ლიგის კრებამ და საბჭომ, თავიანთ მომავალ სესიის დროს, განსახორციელებლად წარმართონ სენატორ ჩირაოლოს უაღრესად კაცთმოყვარული დაწყებულება.

(წარდგენილია მე V-თე კომისიის მიერ; დადასტურებულია შაბათს, 1 სექტემბრის სხდომაზე.)

VIII. მდგომარეობა მტრის ხელში ჩაცვივნულ ცივილთა (მოქალაქეთა) წითელი ჯვრის საერთაშორისო მე XI-ტე კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს:

1) რათა ომის დროს მტრის ხელში ჩაცვივნულ ცივილთა მდგომარეობა გახდეს საგნად დიპლომატიურის კონფერენციისა, რომელიც შეავსებს 1907 წლის, 18 ოქტომბრის, ჰააგის IV-ხე კონფერენციას, შესახებ საომარი კანონების და ჩვეულებისა, და დამატებით რეგლამენტის მე III-მე სექციას;

2) რათა, როგორც ამ კონფერენციისათვის რედაქციის დადგინების დროს, ისე მის მოსალოდნელ აღსრულების დროსაც, მეომარმა სახელმწიფოებმა ყოველთვის ანგარიში გაუწიონ, იმდენად, რამდენათაც ნაციონალური თავდაცვის საჭიროებანი ავალებენ მტრის ქვეშევრდომ ცივილთა მიმართ ღონისძიებათა მიღებას, — იმ კაცთმოყვარეობის პრინციპებს, რომელთაც გამოიწვიეს მზგავსი შინაარსის კონვენციები, უკანასკნელი ომის განმავლობაში დადებულნი, სახელდობრ: მცხოვრებთა კერძო თუ კოლექტიური აყრა-გადასახლე-

ბის შესახებ, კერძო პირთადმი მოპყრობისა, მუშაობის პირობებისა, ავადმყოფთა მოვლისა, მიწერ-მოწერის გაადვილებისა, დახმარებისა, მოხუცთა, დავრდომილთა, ქალთა და ბავშვთა მფარველობისა და ნეიტრალურ სახელმწიფოების კომისიათა მიერ კონტროლის გაწევის შესახებ; ეს ჩამოთვლა მხოლოდ მაგალითისთვისაა მოყვანილი და როდი ამოსწურავს ყოველ მოსალოდნელ შემთხვევას.

II. კონფერენცია, სხვათა შორის, ავალებს წ. ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება და ყოველნაირი თაოსნობა გამოიჩინოს, რასაც კი სასარგებლოდ სცნობს ზემოჩამოთვლილ სურვილთა განსახორციელებლად.

წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობა.

1. მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ექსპედიცია კახეთში № 1 (ალაზნის ველის რაიონი) უფროსი ექიმის ა. ტყემალაძის ცნობით, ხსენებული სენის წინააღმდეგ სწარმოებს მედგარი ბრძოლა; ადგილობრივი ხალხი გაიმსჭვალა ექსპედიციისადმი სიმპატიით; საექიმო პერსონალის ენერგიულმა შრომამ, საუბრობით, ლექციების კითხვითა და ექიმობით თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო და ბევრი გადაარჩინა სიკვდილს.

ამჟამად განზრახულია გაზაფხულზე მოეწყოს გლეხთა მიერ სავალდებულოდ თავის დაავადებულ მიწის ნაკვეთზე ჭაობის ამოშრობა ჰიდრო-ტეხნიკოსისა და ექიმთა ხელმძღვანელობით.

2. სამალარიო რაზმი კახეთში № 2. რაზმის გამგე—ექ. მესხის ცნობით, მალარიის სნეულებამ იკლო ადგილობრივ მცხოვრებთა შორის და მიღებულია ღონისძიებანი, რათა ზაფხულის მოახლოებისას ხალხი წამლობით შემზადებული იყოს და გაუმკლავდეს მის მოსალოდნელობას.

ყოველ დღე რაზმისაგან დახმარების მიღების მოსურნე სნეულთა რიცხვი მრავლდება.

3. ნატახტრის საექიმო პუნქტი. გამგე-ექიმის თანაშემწე ვ. შიუკაშვილი აღნიშნავს რა მუშაობის გაფართოვებასა და ხალხის ინტერესს პუნქტისადმი, გვთხოვს პერსონალის გადიდებასა და წამლეულობის გადაგზავნას, რომელსაც გლეხნი დიდის მადლობით იღებენ საჭიროების დროს.

4. საექიმო დამხმარე ექსპედიცია სვანეთში. როგორც ექსპედიციის გამგე ექიმი ი. კობალაძე იტყობინება, განუსაზღვრელია ის შთაბეჭდილება სვანთა შორის, რომელსაც სტოვებს ექსპედიციის მუშაობა: ადგილობრივ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა და ბავშთა კურნვა, რომელთა შორისაც ერთობ გახშირებულია სნეულება და აგრეთვე გადამდები სენიც. ხალხთან საუბარს, პოპულიარულ ლექციებს, ექიმობას, წამლეულობის მიწოდებას და იმ შედეგებს, რომელსაც ექიმობა აღწევს, შეაქვთ სვანეთში კულტურისა და გაჯანსაღების უტყუარი ნიშნები.

უმთავრესად აქ გავრცელებულია მუცლის ავადმყოფობა და განსაკუთრებით კი დიდია ჩიყვიანთა რიცხვი, რომლის საერთო ჯამის აღნუსხვას მთელ სვანეთში აწარმოებს ამჟამად ექსპედიცია, რომელსაც ამ დღეებში გაეგზავნა ახალი ტრანსპორტი წამლეულობისა და საექიმო ხელსაწყოსი.

ქალთა შორის გინეკოლოგიურ ოპერაციებს განცვიფრებაში მოჰყავს ხალხი და სვანნი გაიმსჭვალნენ მეცნიერებისადმი ნდობითა და სიყვარულით.

მუშაობა თანდათან ფართოვდება.

5. ცენტრალური ამბულატორია. ვინაიდან ავადმყოფთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, გადაწყდა მისი გაფართოება: ამბულატორიას ემატება კბილის საექიმო და ვენერიულ სნეულებათა კაბინეტები; აქვე იწარმოებს სატუბერკულოზო დარგის მუშაობაც.

6. წითელი ჯვრის საზოგადოების სტატისტიკური ნაწილის ცნობით, ნოემბრის თვის განმავლობაში ხსენებულ საექიმო დაწესებულებიდან საექიმო და წამლეულით დახმარება მიუღია სულ 4,530 პირს მხოლოდ ნოემბრის განმავლობაში, რომელთა შორის 99% შეადგენს მალარიით შეპყრობილ სნეულთ.

7. გურიაში (სამება) ამ დღეებში გაიგზავნა ექ. მახვილაძის მეთაურობით პელაგრისა და ანკილოსტომიაზის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი.

8. აჭარაში ამჟამად მოწყობილია ორი საექიმო პუნქტი: აჭარის წყალსა და ქობულეთში, სადაც იქვე არსებულ აფთიაქებიდან მცხოვრებთ ეძლევა უფასოდ წამლეულობა.

ბათომში იხსნება აფთიაქი, იქვე გლეხთა სახლში მოეწყობა ამბულატორია-აფთიაქი.

9. ამ დღეებში გაიხსნა წ. ჯვრის საზოგადოების საკუთარი აფთიაქი კირხის ქუჩაზე, საიდანაც ღარიბთათვის წამლეულობის გაცემა სწარმოებს შეღავათიან ფასებში.

10. წითელი ჯვრის საზოგადოების სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა წლიური მოხსენება წ. ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისა, ახლად გადამუშავებული წესდება საზოგადოებისა, ჟენევის გადასინჯული 1906 წლ. კონვენცია და სხვა.

11. კახეთში დასახლებულ ქართველ უდინთა სოფ. ზინობიანში დაარსა საექიმო პუნქტი და გაგზავნა წამლეულობა და 50 კომპლექტი ტანისამოსისა ღარიბ უდინთათვის უფასოდ დასარიგებლად.

საქართვ. წითელი ჯვრის საზოგადოების ფილიალების საქმიანობა.

1. ავტონომიურს აჭარაში: წითელი ჯვრის საზოგადოების წითელი მთვარის კომიტეტი შეუდგა ფუხარა ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობას: უკვე მოაწყო მაზრაში: აჭარის წყალსა და ქ. ქობულეთში, საექიმო პუნქტები საექიმო პერსონალითა და წამლეულობით. ცენტრმა გაუგზავნა კომიტეტს აფთიაქი, რომელიც უნდა მოეწყოს ქედაში. წითელი მთვარის კომიტეტისთვის ამჟამად მუშავდება საერთო წესდებისგან განსხვავებული, ადგილობრივს პირობებთან შეხამებული, წესდება, რომლის მიხედვითაც წითელ მთვარეს შეუძლია თვალსაჩინო როლი ითამაშოს აჭარის ცხოვრებაში.

წითელი მთვარის კომიტეტის საქმეების გაძღოლა იკისრა ამხ. თახსიმ ხიმშიაშვილმა (სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ), რაც იმის თავმდებია, რომ მუშაობა იქ განცხოველდება.

2. ავტონომიურს აფხაზეთში. ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობის გადახალისების გამო ბოლო დროს მუშაობამ იმატა. იხსნება საექიმო პუნქტები, მაგრამ საექიმო ძალების უქონლობა საქმეს აბრკოლებს.—განზრახულია მთელი რიგი საქმიანობისა ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

3. ავტონომიურს ოსეთში. ადგილობრივად შესაფერისი ძალების უქონლობისა გამო საქმე ვერ არის სასურველს დონეზე დაყენებული, მაგრამ მიღებულია ღონისძიება, რათა ამ მნიშვნელოვანს კუთხეში მუშაობა განცხოველდეს ცენტრიდან ინსტრუქტორ-ორგანიზატორის გაგზავნით ცხინვალში, სადაც ამჟამად სწარმოებს ადგილობრივი კომიტეტის მუშაობა.

4. ფოთში, ოზურგეთში, სენაკში, დუშეთსა და გორში ადგილობრივი კომიტეტები შეძლებისადაგვარად მუშაობენ, **მაგრამ საჭი-**

როებენ დახმარებას, რასაც მათ ცენტრი მიაწოდებს, როდესაც მათი საჭიროება გამოკვლეულ იქნება ამ დღეებში ინსტრუქტორ-ორგანიზატორის წარგზავნით; გორში არჩეულ იქნა კომიტეტი შემდეგის შემადგენლობით:

1) ექ. გ. გვერწითელი (თავმჯდომარე), 2) ქურდაძე ვასილი (პრეზიდიუმის წ.), 3) არშაკუნი ს. (პრეზ. მდივანი), 4) ძინძიბაძე ე. და 5) ხაზარიანცი გ.

5. 28 დეკემბერს—სიღნაღში ცენტრის ორგანიზატორ-ინსტრუქტორის ამხ. თ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით არჩეულ იქნა ადგილობრივი კომიტეტი, რასაც ხალხი აღტაცებით შეხვდა. შემადგენლობაში არჩეულ იქნენ:

1) ვარამაშვილი მოსე, 2) ძიძაძე ა,, 3) ლაღაზიძე დ., 4) კუპრეიშვილი კ., 6) ნაცვლიშვილი.

საზოგადოების წევრად ჩაწერის მოსურნე მრავალი აღმოჩნდა.

6. 12 იანვარს დაიწყო სიღნაღის ადგილობრივი კომიტეტის მუშაობა, რომელსაც ადგილობრივი ხალხი დიდ მნიშვნელობას აძლევს, რადგანაც წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ კახეთში წარგზავნილ საექიმო ექსპედიციებისა და რაზმების მუშაობის მაგალითიდან იციან ამ ორგანიზაციის სარგებლიანობა ხალხისთვის.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და საერთაშორისო წ. ჯ. ცხოვრებიდან.

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. წითელი ჯვრის საერთაშორისო ჟენევის კომიტეტი ატყობინებს წითელ ჯვართა საერთაშორისო ლიგას, რომ მან თავის „მოამბის“ ნოემბრის ნომერში დასტამბა წერილი დოქტორის პანტალეონისა, რომელიც ნაციათა ლიგის საეპიდემიო კომისიის წარმომადგენელია რუსეთში. ამ წერილში, რომელიც საქართველოში მალარიის გავრცელებას ეხება, დ-რი პანტალეონი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ 1500 გირვ. სტერლინგი საკმაო იქნება, რათა დახმარება გაეწიოს 15.000 პირს და ამასთანავე დაარსდეს საუკეთესო სადემონსტრაციო სადგური მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად. წითელ ჯვართა საერთაშორისო ლიგა ამ საკითხის შესახებ მოკლე დროში აცნობებს თავის აზრს ჟენევის საერთაშორისო კომიტეტს.

აღმოსავლეთ ევროპის წითელ ჯვართა კონფერენცია. გასული წლის აპრილში ვარშავაში მოხდა აღმოსავლეთ ევროპის წითელ ჯვართა კონფერენცია. კონფერენცია მოწვეული იყო წით. ჯვრების საზოგადოებათა ლიგის თაოსნობით. მონაწილეობას იღებდნენ: ბულგარეთისა, დანციგისა, ესტონიისა, უნგრეთისა, ლატვიისა, პოლონეთისა, რუმინეთისა, ჩეხო-სლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები გადამწყვეტის ხმით, ხოლო შვეციისა, საფრანგეთისა, ფინლანდიისა და ავსტრიისა კი—სათათბირო ხმით. დაესწრნენ ავრეთვე ნაციათა ლიგისა, საერთაშორისო შრომის ბიუროს და ჟენევის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლები.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია წითელი ჯვრების საზოგადოებათა მიერ მოქმედების გაღვივების შესახებ მშვიდობიანობის განსამტკიცებლად.

მუშათა წითელი ჯვარი მექსიკაში. მექსიკური გაზ. „ექსცელსიორ"-ის ცნობით, ქალაქ სანორაში დაარსებულა მუშური წითელი ჯვარი და ქალთა საზოგადოება.

უკრაინის წითელი ჯვარი იტალიაში. უკრაინის წითელი ჯვრის საზოგადოებას თავის წარმომადგენლად იტალიაში დაუნიშნავს ექიმი მარკ შეფტელი.

ბავშთა დამხმარე საერთაშორისო კავშირი. გასული წლის თებერვალში ათინაში მოხდა ხსენებული კავშირის გენერალური საბჭოს კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ოცდაორი ორგანიზაციის 50 წარმომადგენელი. სხვათა შორის კონფერენციამ მიიღო „დეკლარაცია ბავშის უფლებათა", რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდობის საუკეთესო მომავლის პირობებს.

სენატორ ჩირაოლოს პროექტი. იტალიის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ, სენატორმა ჩირაოლომ ნაციათა ლიგის საბჭოში წარადგინა პროექტი საერთაშორისო ფონდის დაარსების შესახებ, რომელიც დახმარებას გაუწევს ხალხს სხვა და სხვა უბედურობის დროს. პროექტს გულმხურვალედ უჭერენ მხარს წითელ ჯვართა საერთაშორისო კომიტეტი და წითელი ჯვრების საზოგადოებათა ლიგა.

უკრაინის წითელი ჯვარი დასავლეთს ევროპაში. უკრაინის წითელი ჯვრის საზოგადოებამ საერთაშორისო კომიტეტის წინაშე თავის წარმომადგენლად დანიშნა ამხ. ვასილიევი, რომელსაც რეზიდენცია ბერლინში ექნება.

პაპის დახმარება. ჟენევის საერთაშორისო კომიტეტის ცნობით, შარშან პაპმა გადასცა რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების

წარმომადგენელს იტალიაში, ექ. ნ. სეფტელს ერთი მილიონი ლირა რუსეთის საჭიროებისათვის ქინაქინისა და სალვარსანის შესაძენად.

დახმარება მუსულმანებს. მარშან აპრილში, ჟენევის საერთაშორისო კომიტეტმა შორეულს აღმოსავლეთში გაგზავნა პრეზიდიუმის წევრი დ—რი შლემმერი, რომელმაც მოიარა აზიისა და ავსტრალიის მრავალი კუთხე. ამ მოგზაურობას, სხვათა შორის, შედეგად მოჰყვა დიდი ფონდის დაარსება ომისაგან დაზარალებული მუსულმანური ქვეყნების აღსადგენად და დასახმარებლად.

პასტერის სახელობის გამოფენა. გასული წლის ოქტომბერში ქ. სტრასბურგში მოწყობილ იქნა პასტერის ასის წლის აღსანიშნავი სანიტარული გამოფენა, რომელზედაც უმაღლესი ხარისხის ჯილდო მიიღეს: წითელი ჯვრის საერთაშორისო ჟენევის კომიტეტმა, წითელი ჯვრების საზოგადოებათა ლიგამ, წითელ ჯვართა კონფერენციამ და სხვ.

ახლო აღმოსავლეთის ამერიკულმა კომიტეტმა გასულს დეკემბერში ევროპასა და ამერიკაში გამართა ეგრეწოდებული „ოქროს კვირა“ სომეხთა სასარგებლოდ.

უკრაინის წითელი ჯვარი ინგლისში. ჟენევის საერთაშორისო კომიტეტის ბიულეტენის ცნობით, უკრაინის წითელ ჯვარს თავის წარმომადგენლად ინგლისში დაუნიშნავს რაკოვსკის მეუღლე.

ბავშთა მფარველი საერთაშორისო ასოციაციის მეორე კონგრესი გაიმართა ჟენევაში გასული წლის ივლისში. კონგრესმა მრავალი რეზოლიუცია და ღონისძიება მიიღო ბავშთა ჰიგიენისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ წითელ ჯვართა საერთაშორისო ჟენევის კომიტეტის გასული წლის საადმინისტრაციო ხარჯების დასაფარავად გაგზავნა 5.000 ოქროს მანეთი, როგორც თვისი წლიური გადასახადი.

საქართველოს წ. ჯ. საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის 1923 წ. საქმიანობის ანგარიში.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ 1923 წლამდე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მხოლოდ სახელით არსებობდა. იგი იმდენად უსახოდ იყო გათქვეფილი უმნიშვნელო, მეორე ხარისხოვან საზოგადოებათა შორის, რომ მაჯის ცემა თითქმის

არც კი ემჩნეოდა. ამისი მიზეზი არც თუ მატერიალური ხელმოკლეობა ყოფილა, რადგან, როგორც ვიცით, საქართველოს წითელ ჯვარს კარგა ძალი ქონება დარჩა ძველი რეჟიმის წითელი ჯვრიდან. ეს ქონება მართალია, ზოგი ჩაბარების დროს დაკარგულა, მაგრამ რაც დარჩენილა, რაკი ძველ მმართველებს შემოსავლის სხვა წყარო არა ჰქონდათ, ნაწილი იყიდებოდა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, ნაწილიც კიდევ კერძო პირებსა და დაწესებულებათ ჰქონდათ სახმარად გადაცემული, საკმაოა აღვნიშნოთ ერთი გარემოება საზოგადოების წარსულიდან, რათა ნათლად დავინახოთ, თუ როგორს მდგომარეობაში ყოფილა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გამგებლობა და საქმიანობა. 1922 წლის განმავლობაში საზოგადოების შემოსავალი ყოფილა სულ 1,946,048,095 მ. აქედან 1.250,082,886 მან. ე. ი. მთელი შემოსავლის ორი მესამედი, მხოლოდ მოსამსახურეთა ჯამაგირებზე დახარჯულა. საზოგადოების ქონება და მარაგი განუწყვეტლად ილეოდა, ხოლო შემატება და თადარიგი კი სრულიად არაფერი ჰქონია.

საერთოდ, ძველი შემადგენლობის წითელი ჯვრის გამგებლობას არც მოღვაწეობის განსაცხოვლებლად, არც მატერიალურ სახსრის მოსაპოვებლად და არც მისი პრესტიჟის ასამაღლებლად არა გაუკეთებიათ რა. საზოგადოება განაგრძობდა თავის უფერულ ცხოვრებას უიალქნოთ, ბედის ამარა მიგდებული. აი, როგორ ახასიათებს ძველი შემადგენლობის წითელი ჯვრის საზოგადოების მოღვაწეობას მის მიერვე არჩეული სარევიზიო კომისია: „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო ხნის (1921 და 1922 წ.) განმავლობაში საზოგადოების მოქმედება ფრიად მოდუნებული იყო“.

ასე რომ, როდესაც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ჩვენს გამგებლობაში გადმოვიდა, იგი ყოველის მხრით უსახსრო და უმწეო მდგომარეობაში იყო. ამა წლის იანვარში მოხდა მისი რეორგანიზაცია და განახლებული საზოგადოების სახით გადმოვიდა ჩვენს ხელში, წევრთა ახალმა შემადგენლობამ ამოირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იმ თავითვე შეუდგა საზოგადოების ქონების გამოკვლევას; აღმოჩნდა, რომ ქონების ნაწილი გადატრიალების ხანს დაკარგულიყო და მისი აღდგენის იმედიც აღარ იყო, საჭირო იყო საწყობების შევსება, შენობების შეკეთება, საზოგადოების პრესტიჟის ამაღლება და განმტკიცება, და სხვა მრავალი რამ, რომელიც დიდ შრომას, ენერგიას და უნარს მოითხოვდა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას უმთავრეს მიზნათ აქვს: 1) ომიანობის დროს დაეხმაროს

სამხედრო საექიმო ნაწილს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მოვლაში, იგი მთელი თავისი შემადგენლობით, დაწესებულებით და ქონებით ემსახურება და ჰშველის, სამხედრო დაწესებულებათ და ჯარს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე ზურგში დაჭრილთა და ავადმყოფთა დახმარებაში, მათ გადაყვან-გადმოყვანაში, წამლობაში, მოვლაში და სხვა. 2) მშვიდობიანობის დროს: როგორც დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა, აგრედვე მათი ქვრივ-ობლებისთვის ზრუნვა-დახმარება, სოციალურ ავადმყოფობათა და გადამდებ სენთა წინააღმდეგ ბრძოლა, ცეცხლისაგან, წყალდიდობისაგან, მიწისძვრისაგან და სხვა სტიქიონურ უბედურობისაგან გამოწვეული ზარალის დროს დახმარება. ჩამოთვლილი მიზნების განხორციელება მოითხოვს წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან, რათა მისი საწყობები ყოველთვის სავსე იყოს წამლებით, შესახვევი მასალით, ტანსაცმელით და სხვა; ყოველთვის მზად ჰყავდეს საკმაო საექიმო პერსონალი და გადასაზიდავი საშუალებანი, ჰქონდეს აგრეთვე განსაკუთრებული თანხა.

ძველი წესდება საზოგადოებისა, რომელიც აღარ შეეფერებოდა დღევანდელ ცხოვრების ვითარებას, შეცვლილია და უკვე მზად არის წესდების ახალი პროექტი, რომელიც მომავალ საზოგადო კრებას წარედგინება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება შესდგება წევრთაგან, რომელნიც იხდიან განსაზღვრულს მცირე წლიურ გადასახადს. საზოგადოების საქმეებს განაგებს 1) საზოგადო კრება. 2) და მის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტი, მუშაობისათვის მის მიერ გამოყოფილი, 3) პრეზიდიუმი და 4) საზოგადო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისია.

მიმდინარე წლის საქმიანობამ ცენტრალურ კომიტეტს დაანახვა, რომ საჭირო იყო გამგებლობის სტრუქტურის შეცვლა, რამაც გამოიწვია გამგებლობის განყოფილებათა გადაჯგუფება და შემოკლება (წინად არსებობდა სამმართველოს 11 განყოფილება, ამ ჟამად არის მხოლოდ 6) ამ ცვლილებას ბუნებრივად მოჰყვა შედეგად საქმეთა მმართველობის (კანცელარიის) რეორგანიზაცია და საერთოთ თანამშრომელთა შტატის შემცირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დაწყებულებათა ზრდისა და მისი მოღვაწეობის გაფართოების მიხედვით იზრდებოდა თანამშრომელთა რიცხვიც, რომელიც ამ ჟამად საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით უდრის 76 ა. წ. 1 დეკემბრისთვის.

ცენტრალურ კომიტეტს აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საქმეთა სამმართველო
საექიმო-სასანიტარო
საექიმო მომარაგებისა
სამხედრო მომარაგებისა-ტრანსპორტით
ეკონომიური
საკონტროლო-საინსპექციო, განყოფილებანი და წარმომადგენლები პროვინციაში და საკავშირო რესპუბლიკებში.

I. **ცენტრალური კომიტეტი** აძლევს პრეზიდიუმს დირექტივებს და დროგამოშვებით იხილავს მის მოქმედებას. საანგარიშო დროის განმავლობაში მას ჰქონდა სულ 23 სხდომა, განიხილა 120 საკითხი.

II. **პრეზიდიუმი** უდგას სათავეში საქმეს, აწარმოებს ყველა მის დარგს, განაგებს მის საქმეებს; განყოფილების სათავეში დგას რომელიმე წევრი პრეზიდიუმისა. ამავე დროის განმავლობაში პრეზიდიუმს ჰქონდა 65 სხდომა. განხილულია 490 საკითხი.

III. **სარევიზიო კომისია** თვალ-ყურს ადევნებს და სინჯავს პრეზიდიუმის და ცენტრალურ კომიტეტის ანგარიშებს. ამავე დროის განმავლობაში მას ჰქონდა ორი სხდომა.

საანგარიშო დროის განმავლობაშივე ცენტრალურ კომიტეტს დაუნიშნავს 34 ერთდროული კომისია, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ გასარჩევად თუ შესამოწმებლად სხვა და სხვა საქმე და საკითხი.

IV. **საქმეთა სამმართველო** ჰმართავს საზოგადოების ყველა განყოფილების საქმეებს და ანგარიშებს. მასში შედის:

1) **კანცელარია**: აღნიშნულ დროის განმავლობაში მიღია 3270 ნომერი და გაუგზავნია 2750.

2) **ბუხჰალტერია**: აწარმოებს შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს როგორც ფულისა, აგრეთვე საგნებისა და საწყობებისას. მას თავისი მხრით აქვს ქვე-განყოფილება ა) ხარჯთ-ამკრები.

3. პრეზიდიუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზღვარგარეთთან სათანადო დამოკიდებულების დამყარებას. უპირველეს ყოვლისა მან დაამყარა ძმური ურთიერთობა ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის წითელ ჯვრებთან, მათთან იქონია წერილობითი და პირადი მოლაპარაკება კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა გასულ მაისში მოსკოვში. საქართველოს წითელი ჯვარი შევიდა სოც. საბჭ. რესპუბლიკების წითელი ჯვრის საზოგადოებათა კავშირში, რომლის წესდებაც შემუშავებულია და ამ მოკლე ხანში მოელის დამტკიცებას საბჭოთა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მიერ. მოსკოვში ცენტრალურ კომიტეტს ჰყავს მუდმივი სრულუფლე-

ბიანი წარმომადგენელი ამხ. ს. ჟენტი, რომელიც იქ იცავს საქართველოს წითელი ჯვრის ინტერესებს. საზოგადოებას აზრად აქვს საკავშირო წითელ ჯვრებთან უფრო მჭიდრო კავშირი დაიკავოს. მათი თავმჯდომარენი (ბელორუსიის, უკრაინის და სხვა) ითვლებიან თავიანთ ქვეყნებში ჩვენს რწმუნებულად და წარმომადგენელად, ჩვენ კი აქ მათ წარმომადგენლად.

რაც შეეხება უცხოეთის წითელ ჯვრებს და მათი ჟენევის საერთაშორისო კომიტეტს, იქ საკითხი უფრო მწვავედ იყო დასმული, რადგანაც მათთვის მიუღებელი იყო საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობა. ჩვენ მიწვეულნი ვიყავით XI საერთაშორისო ყრილობაზე, მაგრამ შვეიცარიასთან ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ არ მოგვცა ნება ყრილობაზე დასწრებისა, თუმცა ჩვენ მოვითხოვდით ყრილობის სხვა სახელმწიფოში გადატანას; მოვითხოვდით აგრეთვე ყრილობაზე იმ საბჭ. რესპუბლიკების წითელი ჯვრების მიწვევას, რომელნიც მიპატიჟებულნი არ იყვნენ. მაგრამ იმ საქმიანობით, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით, ერთს თვალსაჩინო შედეგს მივაღწიეთ; თუმცა ჩვენი საზოგადოების ოფიციალური ცნობის შესახებ საკითხი ჯერ არ აღძრულა, მაგრამ ფაქტიურად ჩვენ უკვე ნაცნობათ ვითვლებით. ხანგრძლივი მიმოწერის შემდგომ, რომელიც ჟენევის საერთაშორისო კომიტეტთან გვქონდა გამართული, წარსული ნოემბრის შუა რიცხვებში ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო წერილი ჟენევის კომიტეტისაგან, რომლითაც იგი გვატყობინებს, რომ ჟენევის საერთაშორისო კომიტეტმა დაადგინა გამოგზავნოს საქართველოში საგანგებო მისსია, რომელიც ადგილობრივ შეისწავლის მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათ და ამავე დროს დაარსებს ჩვენში ამ ბრძოლის გასანაყოფიერებლად სადემონსტრაციო-სამალარიო სადგურს. ამ მისსიასთან იქნება აგრეთვე წარმომადგენლობა „ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებისა“, რომელიც დახმარებას გაუწევს ბავშვებს შედეგებული რძისა, წამლებისა თუ სხვა ნივთების მიწოდებით.

4) ცნობათა ბიურო. შვეიცარიიდან საერთაშორისო კომიტეტის რამდენჯერმე მომართვამ, რათა მოგვეძებნა იმპერიალისტური ომის ოროს დაკარგული რამდენიმე პირი, გვაფიქრებინა ცნობათა ბიუროს დაარსება, სადაც მრავალი თხოვნა შემოდის სხვა და სხვა პირისაგან მათი მახლობლების მონახვის შესახებ. ასეთი თხოვნები გვაქვს ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, ბულგარეთიდან, მოსკოვიდან და ადგილობრივი. საერთაშორისო კომიტეტის თხოვნით რამდენიმე პირი უკვე გაიგზავნა საზღვარგარეთ.

V. საქიმო-სასანიტარო განყოფილება. მისი მიზანია ყოველთვის მზად ჰყავდეს ომიანობის დროისთვის საკმაო რიცხვი საექიმო დაწესებულების და პერსონალისა, მშვიდობიანობის დროს კი აწარმოოს ბრძოლა სოციალურ და გადამდებ სენთა წინააღმდეგ. როცა ჩვენ ჩავიბარეთ საზოგადოება, არსებობდა ერთადერთი ამბულატორაა (წითელი ჯვრის შენობაში), ეხლა კი ქალაქში არსებობს წითელი ჯვრის ორი ამბულატორია, ერთი სამი ექიმის შემადგენლობით, სადაც ეხლა სამალარიო განყოფილების გარდა, არსდება ვენერიული განყოფილება და კბილის საექიმო კაბინეთი და მეორე ინვალიდთა სახლში, საკუთრივ ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის.

გარდა ამისა **მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი სამი რაზმი** მუშაობს კახეთში.

რაზმი ბავშვთა ეპიდემიის წინააღმდეგ სვანეთში, სადაც ამასთანავე გვაქვს 12 საწოლიანი დროებითი საავადმყოფო.

პელაგრის და ანკილოსტომიაზის წინააღმდეგ მებრძოლი ექსპედიცია გურიაში, რომელიც იკვლევს ამ ავადმყობათ და აწარმოებს მათ წინააღმდეგ ბრძოლას. მზადდება გასაგზავნად კიდევ სხვა დამხმარე მზგავსი ექსპედიციები, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს სენი ჩვენში ახალია, მაგრამ დიდს უბედურებას უქადის ჩვენს ქვეყანას, ამიტომ საჭიროა მისი შესწავლა და სათანადო ბრძოლა.

საექიმო პუნქტი ნატახტარში.

ყველა ამ დაწესებულებაში სწარმოებს მუქთი წამლების დარიგება ღარიბ ხალხზე. სამალარიო რაზმებს და ამბულატორიას ახლავს სისხლის გასასინჯი ლაბორატორიები.

IV. მომზადებულია გასახსნელად 1) საექიმო პუნქტები: მათხოჯში, ბაშში, და სხვა იმ ადგილებში, სადაც ჯანმრთელობის განყოფილებანი ვერ ახერხებენ მათ გახსნას.

2. საავადმყოფო გორში 50 საწოლით, რომლის შენობაც ადგილობრივ აღმასკომის საშუალებით მოკლე ხანში დამთავრდება.

3. დისპანსერი ქალაქში 20 საწოლით, რენტგენის კაბინეთი, ამბულატორიით, ლაბორატორიით და ავათმყოფთა მზრუნველობით მათ ბინაზე.

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით იკრიბება ცნობები თუ სად არის საჭირო საექიმო პუნქტები და, როცა გამოირკვევა, გაიხსნება პუნქტები იმ ადგილას, სადაც მეტი გასაჭირია.

ავადმყოფთა მიმოვ:ვლა შემდეგია:

ქალაქის ამბულატორიაში:

1—16 23 წ.1—1 24 წ. 5030 მათ შორ. მალარ 3792 დანარჩ. 811

სამი რაზმი კახეთში.

12-VIII 23 წ. 20-XII-24 წ. 7383 „ „ „ 6182 „ 1211

სულ 12.413 9.974 2022

პელაგრის და ანკილოსტომიაზის ექსპედიცია მეტად მნიშვნელოვანია. მან მეცნიერულად დაამტკიცა ამ ორი საშინელი სენის არსებობა ჩვენში და თუ ეხლავე ღონისძიება არ იქნა მიღებული სწრაფი და მედგარი იგი გადაავადებს და მოსპობს ჩვენი ქვეყნის მთელს რაიონებს. ცენტრალურ კომიტეტს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება, ეხლავე პრაქტიკულად გადასდგას ნაბიჯი და მოამზადოს პერსონალი და რამოდენიმე რაზმი შეასიოს დაავადებულ ადგილებს მთელი რაიონების გადასასინჯავად და საექიმოთ რათა ძირიანად მოსპოს ეს საშინელი სენები.

ამ ბოლო დროს ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა თავს იდვას მატერიალურად შენახვა ერთად-ერთი სამეცნიერო დაწესებულებისა ჩვენში, რომელიც იკვლევს ტროპიკულ სენებს და საშუალებას მათ წინააღმდეგ ბრძოლისა. **ეს გახლავსთ საქ. უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტთან არსებული ტროპიკულ სენთა გამომკვლევი განყოფილება,** რომელიც უსახსრობისა გამო უნდა დახურულიყო.

საქართველოს წითელმა ჯვარმა მიიღო შეფობა ქართული დივიზიის ლაზარეთისა და საბავშო სახლის № 2, რომელსაც უწევს, როგორც კულტურულს აგრეთვე მატერიალურ მზრუნველობას.

წითელ ჯვარს ჰყავს **ერთი მშვენივრად მოწყობილი სასანიტარო მატარებელი, ერთი ამბანო-სამრეცხველო მატარებელი, თავისი შტატით და ავტო გუნდი თავისი პერსონალით,** უბედურ შემთხვევაში სწრაფი დახმარების აღმოსაჩენად.

IV საექიმო მომარაგების განყოფილება. მის დანიშნულებას შეადგენს იქონიოს საკმაო წამლეულობა, შესახვევი მასალა და სხვა საგნეულობა დაჭრილ-დაავადებულ მეომართა საჭიროებისათვის და სხვ.

იგი შესდგება საექიმო საწყობებისაგან და აფთიაქისაგან, რომლებიც მოთავსებული არიან წითელი ჯვრის სამმართველოს შენობაში. აქვეა გალენიურ პრეპარატების მოსაზადებელი ლაბორატორია. **მოკლე ხანში გაიხსნება აგრეთვე აფთიაქი კირხის ქუჩაზე გრჟენდზიცის ყოფილი აფთიაქის შენობაში,** რომლის რემონტიც სრულდება. გარდა ამისა ყოველ საექიმო ანუ საფერშლო პუნქტზე და სა-

ექიმო ექსპედიციებთან მას აქვს განყოფილებანი საველე აფთიაქის სახით ღარიბებისათვის მუქთათ წამლების დასარიგებლად.

1923 წ. 1 იანვარიდან 1924 წ. 1 იანვრამდე დაიხარჯა და გაიცა წითელი ჯვრის დაწესებულებებზე, როგორიცაა ექსპედიციები, განყოფილებები, პუნქტები და სხ. დაწესებულებანი 17.577 მ. 14 კ. ჩ.

სახელმწიფო და სხვა დაწესებულ. . . .	1.878 მ.	53 კ. ჩ.
დაჭრილ-დასახ. მეომართა და სხ. პირთ უფასოდ წ. ჯ. აფთიაქიდან	1.752 მ.	14 კ. ჩ.
	21.207 მ.	81 კ. ჩ.
სახელმწიფო დაწესებულებათ ფულით } კერძო პირთ ფულით	12.093 მ.	80 კ. ჩ.
	33.301 მ.	61 კ. ჩ.
1 ოქტომბრიდ. 10 იანვრამდის დაახლოებით	20.000 მ.	— „ „
	53.301 მ.	61 კ. ჩ.
ამავე დროის განმავლობაში შევიძინეთ საქონელი ფულით	2.672 „	02 „ „
და მივიღეთ საჩუქრად	15.327 „	98 „ „
	18.000 „	— „ „
ამავე დროის განმავლობაში წ. ჯ. აფთიაქიდან გასულია სხვებზე, დამზადებული წამლები 1135 ნომერი	567 მ.	50 კ. ჩ.

VII სამნეო ნაწილის და მარაგის განყოფილება. მისი დანიშნულებაა იქონიოს საკმაო თადარიგი ქონებისა, როგორც ომიანობის აგრეთვე მშვიდობიანობის დროისათვის, ტრანსპორტი და სხვა.

ა) შენობები: წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს ორი სახლი და საწყობები თაიროვის შესახვევში და ორი სახლი ნავთლუღში. ამ დროის განმავლობაში ეს სახლები და საწყობები შეკეთდენ.

ბ) საწყობები, როგორც საექიმო მომარაგების საწყობებიდან, აქედანაც გადატრიალების დროს ბევრი რამ უკვალოდ დაიკარგა.

საანგარიშო დროის განმავლობაში დაიხარჯა თუ გაიცა წითელი ჯვრის საზოგადოების დაწესებულებებზე, როგორიცაა მაგალითად ექსპედიციები, განყოფილ., პუნქტები და სხ. 2.858 მ. 57 კ. ჩ.

სხვადასხვა დაწესებ. და საზ. დაწეს. . . .	2.059 მ.	87 კ. ჩ.
სხვადასხვა პირთ უსასყიდლ.	420 მ.	14 კ. ჩ.
ფულით სხვადასხ. დაწ. და თანამშრომელთ	1.926 მ.	64 კ. ჩ.
ს უ ლ	7.265 მ.	22 კ. ჩ.

მიღებული იქნა იმავე დროის განმავლობაში
შემოწირულება საქონლით ღირებული . . . 744 მ. 32 კ. ჩ.
შეძენილ იქმნა ფულით . . . . . 820 „ — „ „
ს უ ლ 1.564 მ. 32 კ. ჩ.

გ) ტრანსპორტი. წითელ ჯვრის ტრანსპორტი დღეს დღეობით ასეთია:

1—სანიტარული მატარებელი;
1—ბანო-სამრეცხველო მატარებელი;
4—სანიტარული ორთვალა;
2—ფურგონი;
1—საბარგო ავტომობილი;
2—სანიტარული ავტომობილი (ერთი მათგანი ქალაქში სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად).

ცხადია, რომ ტრანსპორტის მხრივ, ჩვენ განვიცდით დიდ გაჭირვებას. როცა საზოგადოება ჩვენს ხელთ გადმოვიდა, ჩვენ გქვონდა მხოლოდ ოთხი ორთვალა და ორი ფურგონი. მიღებულია ღონისძიება ტრანსპორტის სათანადო შევსებისათვის.

VIII ეკონომიური განყოფილება. ვინაიდან წითელი ჯვრის მატერიალური მხარე უზრუნველყოფილი არ არის და იგი ამყარებს თავის ბიუჯეტს ისეთ შემოსავალზე, რომელიც შემთხვევითია და მერყევი, მან განიზრახა და დაარსა საზოგადოებასთან ეკონომიური განყოფილება, რათა ამკვარათ მაინც შეექმნა მაგარი, საფუძვლიანი ბიუჯეტი. ამისათვის საქართველოს წითელი ჯვარი ხელმძღვანელობდა საბჭოთა სხვა და სხვა რესპუბლიკების წითელი ჯვრების მაგალითებით: მაგარი ბიუჯეტის შექმნის განზრახვით საქართველოს წითელმა ჯვარმა მიმდინარე დეკემბერში

ა) გამართა სტამბა, რომლის დანიშნულებაც უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ საზოგადოებას მისცეს საშუალება საკუთარ გამოცემათა ხელსაყრელს პირობებში აღსრულების და აგრეთვე საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა ამ დარგში, მაგრამ ამასთანვე ცენტრალური კომიტეტი არ ივიწყებს იმ გარემოებასაც, რომ სტამბა შემოსავლის ერთგვარს წყაროდ აქციოს და ყოველ ღონეს ხმარობს კერძო პირთაგან თუ დაწესებულებათაგან შენაკვეთების მისაღებათ.

ბ) ამ ბოლო დროსავე წითელმა ჯვარმა სოფ. თოხლიაურში (კახეთში) იჯარით აიღო მამული, სადაც გამოცდილი ხელმძღვანელის საშუალებით აწარმოებს სასოფლო მეურნეობას და **მეორეც გორში საავათმყოფოსთან ერთად** იმავე მიზნით. ეს დაწესებულებანი ისეთის გეზით არიან მიმართული, რომ მათი მომგებიანობა ყოველს

დავასა და ეჭვს გარეშე სდგას. მათი შემოსავალი მოხმარდება ნატურით საავათმყოფოებს და ზედმეტი კი წითელი ჯვრის საზოგადოების პირდაპირ მიზნებს.

გ) წითელმა ჯვარმა, სხვათა შორის, აიღო ბორჯომის წყლის რეალიზაციის მონოპოლია, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს საქმიანობა ჯერჯერობით შეჩერებულია. ჩვენ მიერ შეტანილი 25.000 მან. ოქროთი, პირობის შეუსრულებლობის გამო, საკურორტო მმართველობამ უკანვე უნდა დაგვიბრუნოს.

დ) გარდა ამისა, ეკონომიურმა განყოფილებამ გაგზავნა რეალიზაციისათვის საქონელი, ღირებული 81.800 მ. ჩერ. ამავე განყოფილების საშუალებით შეძენილია დაკლებულს ფასებში 1000 კილო ქინაქინა, როგორც წითელი ჯვრის საჭიროებისათვის ისე გასასყიდად.

საინსპექციო-საკონტროლო განყოფილება. დაარსდა 6. აგვისტოს. მისი მოქმედება გამოიხატება: სალაროს შემოსავალ-გასავლის განხილვაში, განხილვა მისაღებ-გასაცემ საქონლის, მათი მიზანშეწონილებისა და საბუთებისა, პერიოდული გასინჯვა ქონებისა, ანგარიშების სათანადო საბუთებისა და რევიზია ბუჰხალტერიისა, საწყობებისა, და საპროცენტო ანარიცხებისა რკინის გზიდან, სასამართლოდან და სხვა დაწესებულებებიდან.

განყოფილებანი და წარმომადგენელობა პროვინციაში. წითელმა ჯვარმა დაარსა შემდეგი განყოფილებანი:

1) აჭარაში (ბათომში, აჭარ წითელი მთვარე); 2) ქუთაისში; 3) ფოთში; 4) ოზურგეთში; 5) გორში; 6) აფხაზეთში (სოხუმში — აფხაზეთის წ. ჯ. კომიტეტი) და 7) ახალ-სენაკში.

განზრახულია დაარსება: 1) თელავში; 2) დუშეთში; 3) სიღნაღში; 4) სამხრეთ ოსეთში (ცხინვალში); 5) ზუგდიდში; 6) სამტრედიაში; 7) ხონში; 8) ზესტაფონში; 9) ცაგერში; 10) ჰიათურაში; 11) ხაშურში და 12) ახალციხეში.

განყოფილებათა საინსტრუქციოდ და მათი საქმიანობის განსაცხოვლებლად ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა თანამდებობა ინსტრუქტორისა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დირექტივების მიხედვით ხელმძღვანელებას გაუწევს, როგორც არსებულთ, ისე გასახსნელად განზრახულ განყოფილებათ.

აჭარა: წითელი ჯვრის საზოგადოების წითელი მთვარის კომიტეტს უკვე აქვს ორი საექიმო პუნქტი აჭარის წყალზე და სოფ. ქობულეთში თავისი აფთიაქით და მუქთი წამლების დარიგებით, ამბულატორია ბათომში, და აფთიაქი ღარიბ ხალხზე მუქთი წამლის დასარიგებლად. წამლები და სხვა ხელსაწყო იგზავნება ცენტრიდან.

ქუთაისი: არსდება ამბულატორია და აფთიაქი, ღარიბებზე უფასო წამლის მიცემით.

გორი: არსდება საავადმყოფო 50 საწოლით და მოწყალების დათა კურსებით.

ფოთი: არსდება მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ორი პუნქტი, საველე აფთიაქით და სისხლის გასასინჯი ლაბორატორიით.

ოზურგეთი: გაგზავნილია აფთიაქი, ადგილობრივ საავადმყოფოსთან და წამლეულობა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებისათვის.

აფხაზეთი: იხსნება ამბულატორია სოხუმში და საექიმო პუნქტი სამურძაყანოში, მუქთი წამლების დარიგებით და სისხლის გასასინჯი ლაბორატორიით. წამლები და ხელსაწყო გაგზავნილია ჩვენგან. გარდა ამისა იხსნება სოხუმში სანატორიუმი 25 საწოლით.

განზრახულია მთელი რიგი პუნქტების დაარსება პროვინციებში, სადაც საჭიროება ამას მოითხოვს. ცნობები იკრიბება დაგზავნილ საანკეტო ფურცლებით.

XI საგამომცემლო დარგი. წითელი ჯვრის ძველი შემადგენლობის მიერ არ გამოცემულა არც ერთი წიგნი — არც მეცნიერული და არც მასსისათვის საკითხავი — სამკურნალო დარგისა. საჭიროება ამისა კი ერთობ დიდი იყო და არის დღესაც თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის სანიტარულ პირობებს. ახალი შემადგენლობის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა ამ თვალსაჩინო ნაკლის შევსებას. განზრახულია გამოიცეს მთელი რიგი სახალხო წიგნებისა სხვა და სხვა, ჩვენში გავრცელებული, ეპიდემიისა თუ ენდემიის შესახებ ფართო მასსებში გასავრცელებლად. წითელი ჯვრის მეცადინეობითა და საფასურით დაიბეჭდა და უკვე გამოვიდა ასეთი გამოცემების პირველი წიგნი: „მალარია“, ექ. ბ. ოქროპირიძისა. დამზადებულია დასაბეჭდათ ექ. ოქროპირიძის ნათარგმნი, ჰამბურგის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პროფესორების ნოხტისა და მაიერის წიგნი „მალარია“, რომლის ქართული გამოცემისთვისაც ავტორებს საგანგებო წინასიტყვაობა დაუწერიათ და გამოუგზავნიათ მთარგნელისათვის.

ნათარგმნია და მზად არის სასტამბოდ საერთაშორისო წითელი ჯვრის კონფერენციის მიერ წელს გადასინჯული ჟენევის კონვენცია 1906 წლისა.

გარდა ზემოხსენებული ხასიათის გამომცემლობისა, საზოგადოება შეუდგა, მგზავსად სხვა წითელი ჯვრის საზოგადოებათა, **საკუთარი თვიური ბიულეტენების გამოცემას,** სადაც მოთავსებული იქ-

ნება საზოგადოების მიზნებისა და მოღვაწეობის შესაფერისი მასალ
ასეთი მასალა უკვე მზადაა პირველი ნომრისთვის, რომელიც მომავა
ლი წლის იანვრის პირველს რიცხვებში გამოვა.

XII მატერიარული შეძლებულება. შეგიძლიათ წარმოიდგი
ნოთ, რამდენი ფული ესაჭიროება ყველა ამას. ჩვენი საზოგადოებ
კი ღარიბია. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, წითელი ჯვრის ბიუჯეტი
შემთხვევითია, მერყეობა და მასზედ სამერმისოდ დამყარება არ შეი
ძლება, არც რაიმე საგრძნობელ თანხის გადადება შეგვიძლია ეხლან-
დელი შემოსავლიდან მოულოდნელ შემთხვევისათვის.

მთელი ბიუჯეტის შემოსავალს შეადგენს დაახლოებით, **პრო-
ცენტის სახით რომ ვსთქვათ** (საწევრო გადასახადი სრულიად უმ-
ნიშვნელოა) **გადასახადები:** საკონაულო, საღერბო, კინო-თეატრისა,
რაინის გზა და სხვა . . . . . 3½% მთელი შემოსავლისა
ლოტოს გადასახადი . . . . . 3½% „ „
და კლუბებიდან ჩვენი ხვედ. შემოს. 93% „ „

100%.

1 დეკემბრამდე შემოვიდა სულ	76.536 მ.	36 კ. ჩ.
და დაიხარჯა ჯამაგირზე	11.750 მ.	— „ „
(რაც შეადგენს 14 პროცენტს შემოსავლისას)		
დახმარებანი ფულით	8.700 მ.	— „ „
სამეურნეო ხარჯები, საწყობების შევსება, ტრანსპორტი, კონტროლიორები, ვალების გასტუმრება, საკურსო განსხვავება, სავაჭ- რო განყოფილების საბრუნავი თანხა და სხ.	54.392 მ.	36 კ. ჩ.
	74.842 მ.	36 კ. ჩ.
ნაშთი 1 ოქტომბრისთვის	1.721 მ.	— კ. ჩ.
სულ	76.563 მ.	36 კ. ჩ.

ამავე დროის განმავლობაში საქ. წითელი ჯვრის დახმარება გამოისტუმრა შემდეგში:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტის 5 სტუდენტს დაენიშნა სტი-პენდია ისეთი ოდნობისა, როგორიც საამისოთ დაწესებული აქვს საქ. სახ. განათლების კომისარიატს.

2) ამავე უნივერსიტეტის 1000 სტუდენტი აიყვანა საზრუნველოდ მათთვის საკვებიმო და წამლეულობის ბუჭთი მიწოდებით.

3) სოფ. [illegible]ანია მცხოვრებთ ხანძარისაგან დაზარალებულთ. ლმ. უჩინა დახმარება სურსათ-სანოვაგით და ნივთებით. ტანსაცმე-ლით და სხვა.

4) სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან ერთად ზრუნავს საგლეხო სახლის დაარსების საქმისთვის.

5) გაცემულია სააფთიაქო საქონლის მარაგიდან მედიკამენტები უფასოდ, ღირებული . . . 18,307 მ. 84 კ. ჩ.

6) სამნეოდან. . . . . 4,611 „ 55 „ „

7) სალაროდან ფულით . . . . . 8,700 „ — „ „

31,619 „ 39 „ „

პერსპექტივები: ა) ცენტრალურ კომიტეტს აზრად აქვს ყოვლის უწინარეს, შეასრულოს გეგმა 23 წ. შეინახოს და გააუმჯობესოს არსებული მისი საექიმო დაწესებულებანი, შეავსოს საწყობები და ტრანსპორტი, — საჭირო ნორმამდე, რათა მუდამ მზად იყოს ყოველ მოულოდნელ, უბედურ შემთხვევისათვის, და შემდეგ, შეძლების დაგვარად, საექიმო პუნქტებით და საავადმყოფოებით დაჰფაროს საქართველოს ის კუთხეები, რომელნიც მოკლებულნი არიან ექიმების საშუალებას, ღარიბი მუშა-გლეხისათვის მეჰქმნას მუქთი წამლობა და ამ გვარად დაამთავროს დაწყებული საქმე;

ბ) მედგარი ბრძოლა გაუწიოს სოციალურ და გადამდებ სენებს ექსპედეციების თუ რაზმების გაგზავნით, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, და თუ სადმე რაიმე ახალი სენი აღმოჩნდება, მეცნიერულად გამოიკვლიოს და პრაქტიკულად შეებრძოლოს მას;

გ) აღმოუჩინოს დახმარება ომის და შროშის ინვალიდებს და ომში მოკლულთა ქვრივ-ობლებს და უმუშევართ;

დ) იგივე დახმარება ცეცხლისაგან, წყალდიდობისაგან, თუ სხვა ამის მგზავსი უბედურობის დროს,

ე) პოპულიარული გამომცემლობით ხალხში გავრცელება საჭირო ცნობათა, თუ როგორ და რა საშუალებით ებრძოლოს სხვა და სხვა სენს და გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, და

ვ) საბავშო სახლებზე და ბავშებზე ზრუნვა და სხვა და სხვა.

მთავლიტი 976. ტირაჟი 1500.

მზად არის საბეჭდად:

ა) ექ. ბეს. ოქროპირიძის მიერ გერმანულიდან ნათარგმნი, ჰამბურგის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პროფესორების ნოხტისა და მაიერის წიგნი: „მალარია“, რომელსაც უძღვის ქართული გამოცემისთვის ავტორების მიერ საგანგებოდ დაწერილი წინასიტყვაობა.

ბ) წით. ჯვრის საზოგადოების გადამუშავებული წესდების პროექტი.

გ) საზოგადოების წლიური ანგარიში.

დ) ჟენევის 1906 წლის გადასინჯული კონვენცია.

ცენტრალური ამგულატორია ტფილისში

ვენერიული განყოფილებით და კბილის საქიმო კაბინეტით.

შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა მიღება სწარმოებს ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9—12 ს. ცენტრალური კომიტეტის შენობაში, თაიროვის შესახვევი, № 5.

აქვე მიიღებიან **სპეციალურად მალარიით, ჭიებით** და სხვა **ტროპიკულ ნეშლებიანი** ავადმყოფნი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. ასეთს ავადმყოფებს ესინჯებათ სისხლი და უკეთდებათ სხვა საჭირო ანალიზები. ციებიანთ უფასოდ ეძლევათ წამალი.

კირხის ქუჩაზე, გრჟენდზიცის ყოფილს აფთიაქში, გაიხსნა

საქართვ. წით. ჯვრის აფთიაქი,

საიდანაც ღარიბებს შეღავათიანს პირობებში ეძლევათ წამლეულობა.

საქართვ. წითელი ჯვრის საზოგადოებაში

წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა მიღება სწარმოებს მთავარ სამმართველოში (თაიროვის შესახვევი № 5, ლენინის ქუჩიდან, ყოფ. ოლღას ქ.) ყოველდღე 10—3 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

§ 721.
1924